ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტი

ლანა დავითულიანი

თბილისის კლუბური კულტურა და ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალი

კულტურის და მედიის სოციოლოგია

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია სოციალური და კულტურული კვლევების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი: ლია წულაძე,

სოციოლოგიის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

თბილისი, 2019 წელი

სარჩევი

ანოტაცია 4
Annotation 6
თავი 1. შესავალი 7
§1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა 7
§1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები 12
§1.3 კვლევის ჰიპოთეზა 12
§1.4 კვლევის მეთოდი 13
§1.5 კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული სიახლე 15
§1.6 კვლევის შეზღუდვა 15
თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა 16
§ 2.1 სუბკულტურა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი 16
§ 2.2 მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურები 17
§2.3 კლუბური კულტურა და სუბკულტურული კაპიტალი 20
§ 2.4 სუბკულტურა და სტილი 25
§2.5 ელექტრონული საცეკვაო მუსიკა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი 28
თავი 3. კვლევის შედეგები 30
§3.1 თბილისის კლუბური კულტურის მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურული მახასიათებლები 30
§3.2 კლუბური კულტურის წევრების სოციალიზაცია კლუბში 38
§3.2.1 პირველი ვიზიტი კლუბში 38
§3.2.2 მოლოდინები კლუბურ კულტურასთან დაკავშირებით 39
§3.2.3 კლუბურ კულტურასთან წყვეტა 40
§3.2.4 კონკრეტული კლუბის არჩევა 41
§3.2.5 კლუბების დიზაინი და ლოკაცია 42
§3.2.6 კლუბურ კულტურაში ქალების და კაცების სოციალიზაცია 44
§3.3 თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სოციალური კაპიტალი 46
§3.4 კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალი 50
§3.4.1 ელექტრონული საცეკვაო მუსიკა 50
§3.4.2 კლუბური კულტურისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა 54
§3.5 თბილისის კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი სტილი 57
§3.5.1 აქსესუარები და გარეგნული მახასიათებლები 59

§3.5.2 ქცევები და ენობრივი მახასიათებლები 60
§3.5.3 სუბკულტურული სტილი, როგორც ჰომოლოგია და ბრიკოლაჟი 61
§3.6 კლუბური კულტურის წევრების სიმბოლური კაპიტალი 63
§3.7 კლუბის ფუნქცია კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდებისათვის 68
თავი 4. დასკვნა 70
გამოყენებული ლიტერატურის სია: 74
თავი 5. დანართი 78
§5.1 თავფურცელი ინგლისურ ენაზე 78
§5.2 სადისკუსიო გეგმა 79

ანოტაცია

უკანასკნელი რამდენიმე წლის განმავლობაში თბილისში თანდათან იზრდება კლუბური კულტურის პოპულარობა. 2014 წლიდან დღემდე თბილისში არაერთი კლუბი გაიხსნა, მათ შორის ყველაზე დიდი კლუბებია - „ბასიანი“ „მტკვარზე“ და „ხიდი“. თბილისის კლუბური კულტურა განსაკუთრებული პოპულარობით ახალგაზრდებში სარგებლობს. „ფეისბუქზე“ კლუბების მიერ ორგანიზებულ „რეივებზე“ დასწრების სურვილს ათასობით ახალგაზრდა გამოთქვამს, ხოლო უშუალოდ „რეივს“ დაახლოებით 500-დან 1000 -მდე ახალგაზრდა ესწრება. აქედან გამომდინარე, წინამდებარე კლევა ორიენტირებულია თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის შესწავლაზე. აღნიშნული მიზანი მიღწეულ იქნა თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალის დადგენით, ასევე, იმის კვლევით რა გავლენა და მნიშვნელობა აქვს კაპიტალის თითოეულ სახეს ახალგაზრდებისათვის სუბკულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები აგროვებენ სუბკულტურულ კაპიტალს, რომელიც გამოიხატება მათ განსაკუთრებულ სტატუსში კლუბური კულტურის შიგნით და მის გარეთ. ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალი მათთვის წარმოადგენს საშუალებას, წინააღმდეგობა გაუწიონ სოციალურ კლასს, გახდნენ დამოუკიდებლები, მოწყდნენ რეალობას და ასევე გამიჯნონ საკუთარი თავი მეინსტრიმისაგან - ადამიანებისაგან, რომელებიც არ არიან კლუბური კულტურის წევრები. კვლევის შედეგად ასევე დადგინდა, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალზე პირდაპირი გავლენა აქვს კლუბური კულტურის წევრობის პროცესში დაგროვილ სოციალურ, კულტურულ და სიმბოლურ კაპიტალს. უფრო კონკრეტულად, დიდი სოციალური კაპიტალის მეშვეობით ახალგაზრდები ხდებიან ცნობადები კლუბური კულტურის შიგნით, ეძლევათ მეტი სოციალური მობილობისა თუ სოციალური კონტაქტების დამყარების შესაძლებლობა. კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების

კულტურული კაპიტალი უკავშირდება პიროვნული თვისებების განვითარებას და იმ სპეციფიკური უნარ-ჩვევებისა თუ ცოდნის დაგროვებას, რომელიც კლუბური კულტურისათვის არის დამახასიათებელი. რაც შეეხება სიმბოლურ კაპიტალს, იგი დაკავშირებულია კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებასთან, თავისუფლების შეგრძნებასთან და მშობლების/ახლობლების მხრიდან კონტროლის მექანიზმის შემცირებასთან. საბოლოო ჯამში, სუბკულტურული კაპიტალის მეშვეობით იზრდება კლუბური კულტურის წევრების ცნობადობა, პრესტიჟი და სტატუსი, როგორც კლუბური კულტურის შიგნით, ასევე მის გარეთ.

Annotation

Over the past few years, there has been a considerable growth in the popularity of club culture in Tbilisi. From 2014 till today, in the city, there have opened several clubs, among which there are the best-known clubs such as “BASSIANI”, “MTKVARZE” and “KHIDI”. Tbilisi club culture is the most popular among youth. On Facebook thousands of young people express their desire to attend raves organized by the clubs, and on average, approximately 500-1000 people show up on the events. Consequently, this research (Tbilisi club culture and young people’s subcultural capital) focuses on studying the subcultural capital of Tbilisi youth. The research goal was achieved by determining social, cultural and symbolic capital of young people who consider themselves as a part of club culture in Tbilisi. Furthermore, by investigating what influence and significance does each type of capital have on young people in the process of accumulating subcultural capital. Research has discovered that young members of Tbilisi club culture gain subcultural capital, which is expressed in their special status inside and outside of the club culture. Youth subcultural capital gives them an opportunity to resist social class, to become independent, escape from reality and to separate themselves from mainstream - people, who are not part of the club culture. In addition, research also determined that social, cultural and symbolic capital gained through the membership of the club culture, has a direct impact on young people’s subcultural capital. Specifically, with the help of wide social capital, young people are becoming more and more known inside the club culture, and they gain the ability for social mobility and new social connections. The cultural capital of the young members of club culture is connected with the development of personal characteristic, as well as skills and knowledge, which are distinctive only for club culture. Regarding symbolic capital, it is mainly connected with gaining independence, feeling the freedom and reducing control of parents and relatives on youth. To conclude, with the help of subcultural capital, the publicity, prestige, and status of the members of club culture are increased inside and outside of the clubbing space.

თავი 1. შესავალი

§1.1 საკვლევი საკითხის აქტუალობა

სუბკულტურა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი, მოიცავს კულტურის, როგორც დასწავლილი ქცევის გაგებას. სუბკულტურა შეგვიძლია განვიხილოთ, როგორც სოციალიზაციისა და სოციალური იდენტობის ფორმირების საშუალება მისი წევრებისათვის. სუბკულტურის წევრები სწავლობენ საკუთარი თავისა და სამყაროს გაგებას, დომინანტური კულუტრასთან ურთიერთობის ჩათვლით. მაიკლ ბრეიკი (1985) წიგნში „ახალგაზრდული კულტურებისა და სუბკულტურების სოციოლოგია აშშ-ში, ბრიტანეთსა და კანადაში" სუბკულტურას განმარტავს, როგორც მნიშვნელობის მქონე ფორმას, რომელიც შემუშავებულია დაქვემდებარებული ჯგუფების მიერ დომინანტური მნიშვნელობათა სისტემის საპასუხოდ. სუბკულტურის არსებობის აუცილებელ ასპექტად კი განიხილავს მის მიერ ქცევების, ქმედებებისა და ღირებულებების ერთიანობის ფორმირებას, რომელსაც აქვს სიმბოლური მნიშვნელობა ამ პროცესში ჩართული აქტორებისთვის (Brake, 1985). მერდოკი კი სუბკულტურის შესახებ ავითარებს მოსაზრებას, რომლის მიხედვითაც, სუბკულტურები შესაძლებელია გავიგოთ, როგორც სოციალური სტრუქტურის მიერ შემუშავებული მნიშვნელობათა სისტემები და გამოხატვის ფორმები, რომლებიც ჯგუფის წევრთა მიერ საერთო პრობლემების კოლექტიური დაძლევის მიზნით იქმნება. უფრო კონკრეტულად, სუბკულტურა წარმოადგენს მნიშვნელობათა და გამოხატვის ფორმათა ერთობლიობას, რომელთა მეშვეობით დაქვემდებარებულ სტრუქტურულ პოზიციაში მყოფი ჯგუფები დომინანტურ მნიშვნელობათა სისტემებთან მოლაპარაკებას ან მათთვის წინააღმდეგობის გაწევას ცდილობენ. სუბკულტურები ქმნიან ხელმისაწვდომი სიმბოლური რესურსების საცავს და საშუალებას აძლევენ ინდივიდებს, მათი გამოყენებით გაერკვნენ სიტუაციაში და ააგონ თვალსაჩინო იდენტობა (Murdock, 1974).

თეორიები სუბკულტურის შესახებ და კვლევები ამ მიმართულებით განვითარებას იწყებს მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში. სუბკულტურის თეორიის ბოლო, მეოთხე, მიდგომა უკავშირდება თანამედროვე კულტურის კვლევების ცენტრის შრომებს. აღნიშნული მიდგომის ფარგლებში ანალიზი მოიცავს პოპულარული კულტურის თანამედროვე თეორიას, ასევე ახალგაზრდობასა და ეკონომიკურ ურთიერთობებს შორის კავშირს. მეოთხე მიდგომის ფარგლებში, მეოცე საუკუნის ბოლოს, თანამედროვე სუბკულტურის კვლევის მიდგომის ფოკუსში მოექცა კლუბური კულტურის და „ქლაბერი“/ „რეივერი“ ახალგაზრდების კვლევა, რომლებიც საკუთარ თავს კლუბური კულტურის წევრებად მოიაზრებდნენ. ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია თანამედროვე კულტურის სოციოლოგის, სარა სორნტონის კვლევა კლუბურის კულტურის შესახებ, რომელიც 1995 წელს გამოიცა წიგნად „კლუბური კულტურა: მუსიკა, მედია და სოციალური კაპიტალი”. აღნიშნულ წიგნში ავტორის მიზანია, საცეკვაო კულტურის ანალიზი და იმ ახალგაზრდა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების დამოკიდებულებების და იდეალების წარმოჩენა, რომელთა სოციალური ცხოვრება კლუბებსა და რეივების გარშემო ტრიალებს. ავტორი წიგნში გვთავაზობს ტერმინს „სუბკულტურული კაპიტალი“, რომელიც პირდაპირ ეფუძნება პიერ ბურდიეს ნააზრევს კულტურული კაპიტალის შესახებ. სორნტონის აზრით, სუბკულტურული კაპიტალი თავის მფლობელს ანიჭებს სტატუსს შესაბამისი მაყურებლის თვალში. ხშირ შემთხვევაში, ის ხელს უწყობს ახალგაზრდებს, მიაღწიონ ზრდასრულობის მსგავს მდგომარეობას. სუბკულტურული კაპიტალის საშუალებით ახალგაზრდები წინააღმდეგობას უწევენ ან თავს არიდებენ იმ სოციალური კლასის მახასიათებლებს, რომელსაც მათი მშობლები მიეკუთვნებიან. ბრიტანელი ახალგაზრდების ფართო სპექტრისთვის საცეკვაო კლუბებში სიარული მათი ზრდასრულ ადამიანად ჩამოყალიბების პროცესის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ხაზს უსვამს ახალგაზრდის დამოუკიდებლობას და საბოლოო ჯამში, ქმნის საკუთარი პირადი სივრცის განწყობას. სორნტონის აზით, ახალგაზრდები კლუბური სუბკულტურის წევრობით შესაძლებელია აგროვებდნენ ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ კაპიტალს, რაც, საბოლოო ჯამში, კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულუტურულ კაპიტალს ქმნის (Thornton, 1995). აუცილებელია,

განიმარტოს რას გულისხმობს ზემოთ ჩამოთვლილი სხვადასხვა ტიპის კაპიტალი. სოციალური კაპიტალი გულისხმობს ინდივიდებს შორის სოციალურ ურთიერთობებს. რობერტ პატნემმა (2000) სოციალური კაპიტალის ორი კატეგორია გამოყო. პირველი ეს არის „Bonding" ანუ „გამაერთიანებელი" და „Bridging" ანუ „დამაკავშირებელი" სოციალური კაპიტალი. „გამაერთიანებელი" სოციალური კაპიტალი უკავშირდება პირველადი ჯგუფის ურთიერთობებს, მაგალითად ოჯახის წევრებთან ან მეგობრებთან, ხოლო მეორე, „დამაკავშირებელი" სოციალური კაპიტალი უკავშირდება მეორადი ჯგუფის ურთიერთობებს, მაგალითად ნაცნობებთან, კოლეგებთან ან ა.შ. წინამდებარე კვლევის ფარგლებში, შესაძლებელია, რომ კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები ერთმანეთთან მჭიდრო, სოციალურ კავშირებს ამყარებენ და მათ შორის პირველადი ჯგუფის ტიპის ურთიერთობები ფორმირდება. კულტურულ კაპიტალში ბურდიე (1986) გულისხმობს პიროვნების განათლებას, ცოდნას თუ სხვადასხვა უნარ-ჩვევას. ეს განათლება და ცოდნა მისი აზრით, ადამიანს ეხმარება მოიპოვოს უფრო მაღალი სოციალური სტატუსი საზოგადოებაში. კლუბური კულტურის შემთხვევაში კი, კულტურული კაპიტალი შესაძლებელია უკავშირდებოდეს კლუბის შიგნით მიღებულ ცოდნასა და უნარ-ჩვევებს. რაც შეეხება სიმბოლორ კაპიტალს, ის უკავშირდება, პრესტიჟს, ავტორიტეტეს, ცნობადობასა და მაღალ სტატუსს, რომელიც საჯაროდ არის აღიარებული.

სორნტონის წიგნი (1995), ერთი მხრივ ეფუძნება თანამედროვე კლუბებს, რომლებიც გამოირჩევა მათთვის დამახასიათებელი მუსიკის ჟანრით (ტექნო, ელექტრო, ჰაუსი და სხვა), ექსტერიერით/ინტერიერით თუ განათების სისტემებით, ხოლო, მეორე მხრივ, ახალგაზრდებს, რომლებიც საკუთარ თავს ამ ტიპის კლუბების წევრებად მოიაზრებენ. ავტორი აღნიშნავს, რომ თანამედროვე კლუბები ტრადიციული საცეკვაო ადგილებიდან გადავიდა ისეთ ადგილებში, როგორიც შეიძლება იყოს მიტოვებული საცავები, თვითმფრინავების ანგარები და ა.შ. მსგავს არასტანდარტულ ადგილებში კლუბების დაარსება მისი წევრებისთის ქმნის ახალი სივრცის და სახლის გარემოდან მაქსიმალურად დაშორების წარმოსახვას (Thornton, 1995). აღსანიშნავია, რომ სორნტონის მიერ კვლევის

ჩატარება ემთხვევა თანამედროვე კლუბების განვითარების პერიოდს. მეოცე საუკუნის ბოლოდან ღამის კლუბები ამერიკისა და ევროპის არაერთ დიდ ქალაქში გაჩნდა და პოპულარობაც მალევე მოიპოვა. დღესდღეობით კი, ცნობილი მასმედიის საშუალებების რეიტინგების მიხედვით (The Guardian, NY Times, CNN, BBC და სხვა) ახალგაზრდებისათვის ყველაზე პოპულარული კლუბები მდებარეობს ბერლინში, პარიზში, ნიუ იორკში, ლონდონსა და სხვა ქალაქებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში, ზემოხსენებული მასმედია აქცენტს აკეთებს აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში კლუბური კულტურის განვითარებაზე, განსაკუთრებულ ყურადღებას კი საქართველოს დედაქალაქში, თბილისში, არსებულ კლუბებზე ამახვილებს. მსოფლიოს სხვადახვა ქალაქში კლუბური კულტურის პოპულარობის ზრდასთან ერთად, ღამის კლუბების დაარსება დაიწყო აღმოსავლეთ ევროპაში, მათ შორის საქართველოშიც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2014 წლიდან დღემდე თბილისში სამი დიდი კლუბი: „ბასიანი“, „ხიდი“ და „მტკვარზე“ დაარსდა, რომელთა წევრად და აქტიურ სტუმრად ბევრი ახალგაზრდა მოიაზრებს საკუთარ თავს. სორნტონის (1995) მიერ აღწერილი კლუბების მსგავსად, სამივე კლუბი არასტანდარტულ ადგილას დაარსდა. კერძოდ, კლუბი „ბასიანი“ მდებარეობს „დინამოს” სტადიონის ქვემოთ, სადაც ადრე დიდი საცურაო აუზი მდებარეობდა. კლუბი „ხიდზე“ ვახუშტი ბაგრატიონის ხიდის ტერიტორიაზე მდებარეობს. რაც შეეხება კლუბ „მტკვარზე“, იგი მდებარეობს ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის მარცხენა სანაპიროზე, კონკრეტულად კი „თევზის რესტორნის“ ყოფილ შენობაში, რომელიც პირდაპირ გადაჰყურებს მდინარე მტკვარს.

თბილისში კლუბური კულტურა თანდათან უფრო პოპულარული ხდება. რამდენიმე წლის წინ თუ არც ისე ბევრ ადამიანს ჰქონდა ინფორმაცია თბილისში ღამის კლუბების არსებობის შესახებ, დღესდღეობით ძალიან ბევრი ახალგაზრდა სტუმრობს სხვადასხვა კლუბს. „ფეისბუქზე“ კლუბების მიერ ორგანიზებული „რეივების“ ბილეთები ფასების მიხედვით სხვადასხვა კატეგორიად იყოფა. თითოეული „რეივის“ დაანონსების დროს, რამდენიმე საათში თითქმის ყველა კატეგორიის ბილეთი იყიდება და კლუბში შეღწევა

მხოლოდ კარზე ბილეთის შეძენის შემთხვევაში არის შესაძლებელი. ეს ფაქტი მიუთითებს იმაზე, რომ კლუბები ახალგაზრდებისთვის დროის გატარების ერთ-ერთი ყველაზე სასურველი ადგილი ხდება. აღსანიშნავია, რომ თბილისური კლუბები ქვეყნის საზღვრებს გარეთაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. ბრიტანული გამოცემა "The Guardian"-მა კლუბ „ბასიანს" ტექნოსცენის მექა უწოდა, რომელიც „ანგრევს პოსტსაბჭოთა ჩაკეტილობას" გამოცემაში ვკითხულობთ: „სხვაგვარად არის საქმე აღმოსავლეთ ევროპაში: თუ ლონდონში კლუბური ცხოვრება თავის უკანასკნელ დღეებს ითვლის, აღმოსავლეთ ევროპაში ამ კუთხით ახალი ეპოქა იწყება" „თბილისის ანდერგრაუნდის კლუბები მუდმივად ვითარდებიან და ყოველდღიურად მატულობს იმ ახალგაზრდების რაოდენობა, რომლებსაც სურთ საკუთარი და ინდივიდუალური სიტყვა თქვან ელექტრონული მუსიკის ინდუსტრიაში. მათი უმრავლესობა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიბადა. ეს ახალგაზრდები მომავალში ქვეყნის განვითარებასა და ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს შეასრულებენ. ეს არის თაობა, რომელიც წარსულის მაგივრად წინ იყურება და ტექნო მათთვის მომავლის საუნდტრეკია" (Ravens, 2019).

მიუხედავად იმისა, რომ უკვე აქტიურად საუბრობენ კლუბური კულტურის ბუმზე თბილისში, ამ მიმართულებით კვლევები თითქმის არ მოიპოვება. კლუბების მზარდი პოპულარობის ფონზე იზრდება ამ საკითხის აქტუალობა და აქედან გამომდინარე, ჩემთვის საინტერესოა დავადგინო, რატომ იზრდება კლუბების მიმართ ახალგაზრდების დაინტერესება; ასევე, რატომ ხდება კლუბი მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი და როგორ აფასებენ ახალგაზრდები კლუბური კულტურის გავლენას მათ სოციალურ სტატუსზე. ვფიქრობ, ამ საკითხების გარკვევა შეუძლებელი იქნება კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევის გარეშე.

§1.2 კვლევის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევა.

დასახული მიზნის მისაღწევად დასმულია შემდეგი ამოცანები:

1. თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სოციალური კაპიტალის შესწავლა;
2. თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალის შესწავლა;
3. თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახაგალზრდების სიმბოლური კაპიტალის შესწავლა.

§1.3 კვლევის ჰიპოთეზა

წინამდებარე კვლევის ჰიპოთეზის თანახმად, სავარაუდოა, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები კლუბებში აგროვებენ სოციალურ კაპიტალს, ანუ ახლო სოციალური ურთიერთობები აქვთ კლუბის სხვა წევრებთან. ასევე აგროვებენ კულტურულ კაპიტალს და ისეთი ტიპის ცოდნას/უნარ-ჩვევებს, რომლებსაც მხოლოდ კლუბური კულტურის წევრობით შეიძენდნენ. სოციალური და კულტურული კაპიტალის დაგროვებასთან ერთად, ასევე სავარაუდოა, რომ ახალგარდები სიმბოლურ კაპიტალსაც აგროვებენ, კერძოდ კლუბური კულუტურის წევრობით იძენენ სოციალურ სტატუსს და პრესტიჟს, როგორც კლუბური კულტურის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთაც. ამ ყველაფერის შედეგად, სავარაუდოა, ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალი უკავშირდება მათ მიერ ზრდასრულობის მიღწევისა და დამოუკიდებლობის განცდას.

ასევე სავარაუდოა, რომ ახალგაზრდებისათვის სუბკულტურული კაპიტალი წარმოადგენს საშუალებას, წინააღმდეგობა გაუწიონ ან თავი აარიდონ იმ სოციალური თუ ეკონომიკურ რეალობას, რომელშიც მათ უწევთ ცხოვრება.

§1.4 კვლევის მეთოდი

კვლევა ჩატარდა თვისებრივი სოციალური კვლევის მეთოდით, კერძოდ, გამოყენებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუ და მიზნობრივ ჯგუფად არჩეულ იქნა თბილისის სამი დიდი კლუბის „ბასიანი“, „ხიდი“ და „მტკვარზე“ კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები. აღნიშნული სამი კლუბი ყველაზე დიდია საქართველოში, შესაბამისად, ყველაზე მეტი ახალგაზრდა ამ კლუბებში დადის. მართალია, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა, თუ რამდენი ადამიანი ესწრება კლუბების თითოეულ „რეივს”, თუმცა კლუბების ოფიციალურ „ფეისბუქზე“ დასწრების მსურველთა სტატისტიკით თუ ვიმსჯელებთ, 500-დან 1000-მდე ადამიანი ესწრება თითოეულ „რეივს“. კვლევის განმავლობაში ინტერვიუ ჩატარდა კლუბური კულტურის წევრ 15 რესპონდენტთან, რომლებიც აქტიურად ესწრებიან „რეივებს”. შერჩევა მოხდა თოვლის გუნდის მეთოდით. კერძოდ, პირველი რესპონდენტად შეირჩა კლუბური კულტურის წევრობის გამოცდილების მქონე ახალგაზრდა, რომელსაც თავად ვიცნობ. დანარჩენი რესპონდენტების შერჩევაში დახმარება გამიწიეს კველვაში უკვე ჩართულმა ახალგაზრდებმა.

კვლევის პროცესში, თემის სპეციფიკურობიდან გამომდინარე, მონაცემები მოპოვებულ იქნა სიღრმისეული ინტერვიუების საშუალებით. აღსანიშნავია, რომ ამ მეთოდმა საშუალება მომცა, მიმეღო დეტალური და სიღრმისეული ინფორმაცია ახალგაზრდების კლუბთან დაკავშირებული გამოცდილებისა და მათი სუბკულტურული კაპიტალის შესახებ.

მონაცემთა ანალიზის პროცესის განხორციელება დაიწყო კოდირების ეტაპით. რესპონდენტების პასუხები დაკავშირებულ იქნა ზოგად კოდებსა და კატეგორიებთან, რომლებიც შემდგომში ანალიზის წერისას იქნა გამოყენებული. მიღებული კოდები დახარისხდა კატეგორიებად და ლოკალური ინტეგრაციის ეტაპზე შეჯამდა ინტერვიუს ამონარიდები და მათი შესაბამი კოდები. ამის შემდეგ კი განხორციელდა ინკლუზიური ინტეგრაცია, რომლის დროსაც შემუშავდა საერთო თეორიული ჩარჩო, რომლის ფარგლებშიც მოხდა მონაცემების ინტეგრირება და საბოლოო დასკვნების გამოტანა.

ინტერვიუების შედეგად მიღებული მონაცემები დამუშავდა თვისებრივი კონტენტ-ანალიზისა და დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებით. თვისებრივი კონტენტ-ანალიზმა მომცა მიღებული შედეგების სისტემური ანალიზისა და ინტერპრეტაციის საშუალება, ასევე კონკრეტული შინაარსის, თემებისა და ტენდეციების გამოვლენის შესაძლებლობა. რაც შეეხება დისკურსის კრიტიკული ანალიზის მეთოდის გამოყენებას, რომელიც ძალაუფლებასა და დისკურსს შორის კავშირის კვლევის საშუალებას იძლევა, შესაძლებელი გახადა მიღებული შედეგების ძალაუფლების კონტექსტში ანალიზი. უფრო კონკრეტულად კი, როგორ ხდება ახალგაზრდების მიერ ძალაუფლების ასახვა, კვლავწარმოება და წინააღმდეგობის გაწევა ტექსტისა და საუბრის გზით. ძალაუფლება წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს და კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების შემთხვევაში ძალაუფლება დაკავშირებულია ეკონომიკურ ძალაუფლებაზე ან ავტორიტეტზე დამყარებულ მშობლის ძალაუფლებაზე.

§1.5 კვლევის სამეცნიერო და პრაქტიკული სიახლე

კვლევას აქვს პრაქტიკული და სამეცნიერო სიახლე, რამდენადაც ქართველი ახალგაზრების სუბკულტურული კაპიტალის შესახებ კვლევები საქართველოში ძალიან მწირია, ხოლო კლუბური სუბკულტური კაპიტალის შესახებ თითქმის არ მოპოვება კვლევები. აღნიშნული კვლევა იქნება ძალიან მნიშვნელოვანი სიახლე ზოგადად სუბკულტურისა და განსაკუთრებით კლუბური კულტურის კვლევით დაინტერესებული პირებისათვის. წინამდებარე კვლევა ხელს შეუწყობს შემდგომში, აღნიშნულ თემაზე უფრო ფართომაშტაბიანი კვლევების განხორციელებას. ასევე, წინამდებარე კვლევა, ამ თემით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის იქნება საინტერესო, რათა გაეცნონ კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის შესახებ ინფორმაციას.

§1.6 კვლევის შეზღუდვა

წინამდებარე კვლევა ორიენტირებულია თბილისში არსებული სამი დიდი კლუბის „ბასიანი“ „ხიდი“ „მტკვარზე“ წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევაზე. ამდენად, ყურადღების მიღმა რჩებიან ის ახალგაზრდები, რომლებიც სხვა, შედარებით პატარა კლუბების აქტიური სტუმრები არიან და ასევე, მათი კლუბური კულტურის წევრობის გამოცდილება.

თავი 2. ლიტერატურის მიმოხილვა

§ 2.1 სუბკულტურა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი

სუბკულტურის, როგორც სოციოკულტურული ფენომენის აღმნიშვნელი ტერმინის დეფინიციამდე, საინტერესო იქნება, განვიხილოთ თავად ტერმინ კულტურის მნიშვნელობა. უილიამსი (1961) კულტურას განმარტავს, როგორც ცხოვრების განსაკუთრებული წესს, რომელიც გამოხატავს მნიშვნელობებსა თუ ფასეულობებს, როგორც ხელოვნებასა და განათლებაში, ასევე სოციალურ ინსტიტუტებსა და ყოველდღიურ ქცევებში (Williams, 1961:57). ასეთი განსაზღვრების საფუძველზე, კულტურის ანალიზი გულისხმობს აშკარა და ფარული ფასეულობების თუ მნიშვნელობების განმარტებას. „დაბალი კულტურის", როგორც შეგნების ფორმისა და ცხოვრების წესის კონცეპტუალიზაცია, შესაძლებელია დავუკავშიროთ სუბკულტურის, როგორც ანალიტიკური ცნების, განვითარებას. ეს უკანასკნელი კი ცხოვრების სხვადასხვა ელემენტს შორის, ურთიერთობების შესწავლას გულისხმობს.

მაიკლ ბრეიკის (1985) აზრით, ნებისმიერ საზოგადოებაში არსებობს ცალკეული კულტურები, რომლებიც ვითარდება დომინანტურ ღირებულებათა სისტემების ჩარჩოებში. დომინანტურ ღირებულებათა სისტემა არასოდეს არის ჰომოგენური. პირიქით, როგორც ის წერს ხშირად მიმდინარეობს დომინანტური იდეებისა და ღირებულებებისა მოდიფიკაცია და ცვლილება. დასავლურ რეალობაში, კულტურის ძირითადი ფორმას წარმოადგენს კლასობრივი კულტურა და სუბკულტურები განხილულია, როგორც ამ მსხვილი კულტურული კონფიგურაციის ნაწილი. მას შემდეგ, რაც სუბკულტურები გაიზიარებენ დიდი კლასობრივი კულტურის ელემენტებს, ისინი მაინც განსხვავებულები არიან მისგან. მაგალითად, შესაძლებელია, რომ კლუბური

კულტურის წევრები იზიარებენ დომინანტური კულტურის მნიშვნელოვან ელემენტებს, მაგრამ მათ ასევე გააჩნდეთ კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი ელემენტები (საუბრის მანერა, სტილი და ა.შ). სუბკულტურის ცნება ბევრის მომცემია, რადგან ის გვთავაზობს კულტურული და სიმბოლური საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული ადამიანების სოციოლოგიურ გაგებას. სტრუქტურულ დონეზე ის გვიჩვენებს, როგორ ხდება კულტურის მედიაცია და კონსტრუირება სოციალურ აქტორთა ჯგუფის მიერ, ხოლო ეგზისტენციურ დონეზე ის გვიჩვენებს, როგორ ხდება სუბკულტურებიდან მნიშვნელობების აღება, იმიჯის ჩამოყალიბება და იდენტობის ფორმირება (Brake, 1985).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ სუბკულტურა არსებობს იქ, სადაც არის ღირებულებების, ქცევის თუ ქმედებების ორგანიზებული და თვალსაჩინო ერთობლიობა, რომლებიც დომინანტური კულტურის ნორმებისგან განსხვავდება. დაუნსი (1966) ასკვნის, რომ „სუბკულტურები აღმოცენდება იქ, სადაც ადაპტაციის ერთნაირი პრობლემების მქონე აქტორებს შორის ეფექტური ინტერაქცია წარმოიშობა" (Downs, 1066: 9). ამ გაგებით, სუბკულტურა შეგვიძლია დავუკავშიროთ საერთო პრობლემის კოლექტიური გადაჭრის გზას. აღნიშნული თვალსაზრისით საინტერესოა, თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები და მათი სუბკულტურული კაპიტალის როლი საერთო პრობლემ(ებ)ის გადაჭრის პროცესში.

§ 2.2 მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურები

გამომდინარე იქედან, რომ ჩემი კვლევის მიზანი კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევაა, გვერდს ვერ ავუვლი თავად კლუბების ფენომენს. ღამის კლუბების პირველი ტალღის ჩამოყალიბება იწყება 1970 -იანი წლებიდან. მათი შემდგომი განვითარება და პოპულარობა კი 1980-იანი წლებიდან. რეინოლდსის აზრით, კლუბური და რეივ სუბკულტურის ჩამოყალიბება დაიწყო 1980-

90-იან წლებში (Raynolds, 2012). დაარსების დღიდან ღამის კლუბებმა ბევრი ცვლილება განიცადა. აღნიშნული ცვლილებები უკავშირდება, როგორც საკლუბო მუსიკასა და სტილს, ასევე კლუბების ტრანსოფრმაციას. ამ კონტექსტში ჩემთვის საინტერესოა, თბილისის კლუბების ანალიზი. ჩემი კვლევისათვის შერჩეული სამი კლუბი -„ ბასიანი," „ხიდი" და „მტკვარზე" ბოლო 5 წლის განმავლობაში ჩამოყალიბდა. შესაბამისად, საინტერესოა, რა ტიპის სუბკულტურასთან გვაქვს საქმე, რა ნიშნები ახასიათებთ და როგორ უკავშირდება ეს ახალგაზრდებში სუბკულტურული კაპიტალის დაგროვებას. ამ თვალსაზრისით, ჩემთვის საინტერესოა, დევიდ მაგლტონის თეორია მოდერული და პოსტმოდერნული სუბკულტურების არსისა და ასპექტების შესახებ. დეივიდ მაგლტონი (2002) წიგნში „სუბკულტურის შიგნით: სტილის პოსტმოდერნული მნიშვნელობა" თანამედვე ბრიტანული სუბკულტურების კვლევის საფუძველზე აანალიზებს მოდერნულ და პოსტმოდერნულ სუბკულტურებს და გამოყოფს მათთვის დამახასიათებელ ნიშნებს.

მაგლტონის (2002) აზრით, სუბკულტურები ვითარდებიან და ერთმანეთს ცვლიან. ისინი ჰომოგენურ ჯგუფებს წარმოადგნენ, რომელებიც ავლენენ წინააღმდეგობებს როგორც ერთმანეთის მიმართ, ასევე კონვენციური კულტურის მიმართ. აქედან კი, სუბკულტურების მრავალი ოპოზიცია გამოიყოფა, მათ შორის: არსი და გარეგნობა, აუთენტურობა სა ხელოვნურად შექმნა, სტილი როგორც წინააღმდეგობა და სტილი როგორც მოდა. სწორედ პოსტმოდერნულობაა, არომელიც შლის ამ საზღვრებს და აქრობს ოპოზიციებს. აღსანიშნავია, რომ მოდერნულ სუბკულტურებზე მსჯელობის დროს, თეორეტიკოსებისათვის მთავარი იყო სუბკულტურის დაპირსპირება კონვენციურ კულტურასთან, მაგლტონი კი თავის წიგნში ამ დაპირისპირებას ეჭვქვეშ აყენებს. იგი წერს, რომ პოსტმოდერნული სუბკულტურები დაპირისპირებას კონვენციურ კულტურასთნ საერთოდ აქრობს (Muggleton, 2002 : 42-43).

მაგლტონის წიგში მოტანილია კრუკის მსჯელობა პოსტმოდერნული სუბკულტურებისა და მათი მახასიათებლების შესახებ, სადაც იგი წერს, რომ პოსტმოდერნი არ გულისხმობს

სტილის მთლიანად გაქრობას და არც იმას, რომ სტილი აღარ გამოხატავს წინააღმდეგობას, არამედ იმას, რომ ჰეგემონიასთან ბრძოლა პირდაპირ აღარ გულისხმობს, ბრძოლას კონფორმულობასა და წინააღმდეგობას შორის (Crook in Maggleton, 2002: 48-49). მაგლტონი იქვე წერს, რომ პოსტმოდერნული სუბკულტურა პლურალიზმს არ უარყოფს და ინდივიდუალიზმს კოლექტივიზმზე მაღლა აყენებს, ასევე განსხვავებულობას და ჰეტეროგენულობას - კონფორმულობაზე მაღლა. პოსტმოდერნულ სუბკულტურაში აქცენტი კეთდება არა იდეოლოგიურ საფუძვლებზე, არამედ ზედაპირულ სანახაობაზე. მაგლტონი თავის წიგნში გამოყოფს იმ კონკრეტულ ნიშნებს, რომლებიც პოსტმოდერნულ და მოდერნულ სუბკულტურებს ახასიათებს. ცხრილში მოცემულია მაგლტონის კლასიფიკაცია, მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურების მახასიათებლების შესახებ (იქვე, 52).

მოდერნული სუბკულტურა	**პოსტმოდერნული სუბკულტრა**
ჯგუფური იდენტობა	იდენტობის ფრაგმენტაცია
სტილის ჰომოგენურობა	სტილის ჰეტეროგენურობა
მყარი საზღვრები	ბუნდოვანი საზღვრები
სუბკულტურა კონკრეტულ იდენტობის არსებობას განსაზღვრავს	სუბკულტურა მრავალი იდენტობის არსებობა განსაზღვრავს
სუბკულტურასთან მიჯაჭვულობის მაღალი ხარისხი	სუბკულტურასთან მიჯაჭვულობს დაბალი ხარისხი
სუბკულტურის წევრობის მუდმივი განცდა	სუბკულტურის წევრობის მოკლევადიანი განცდა
ნაკლები მობილობა	მეტი მობილობა
რწმენებსა და ღირებულებებზე აქცენტირება	სტილსა და იმიჯზე აქცენტირება
პოლიტიკური წინააღმდეგობის გამოხატვა	აპოლიტიკურობა

მედიის მიმართ ანტიპათია	მედიის მიმართ სიმპათია
აუთენტურობის განცდა	აუთენტურობის შესახებ აზრის ცვლილება

ვფიქრობ, თბილისის კლუბების ანალიზი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების შესაბამისად, საინტერესო იქნება. ის ფაქტი, თუ როგორია კლუბი, რა ნიშნებს ატარებს, რის საშუალებას აძლევს ან არ აძლევს მის წევრებს და იქ მოსიარულე ადამიანებს დიდ გავლენას ახდენს ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალზე. მაგალითად, თუ კლუბში მეტი მობილობა და ბუნდოვანი საზღვრებია, ეს მის წევრებს შესაძლოა განვითრებისა და სოციალური კაპიტალის ზრდის მეტ საშუალებას აძლევდეს. აქედან გამომდინარე, თბილისის კლუბების ანალიზი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნების შესაბამისად, მნიშვნელოვანი იქნება ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევის პროცესში.

§2.3 კლუბური კულტურა და სუბკულტურული კაპიტალი

„კლუბური კულტურა“ - ამ ტერმინით სარა სორნტონი (1995) აღნიშნავს იმ ახალგაზრდულ კულტურებს, რომელთათვისაც საცეკვაო კლუბები, რეივები და ოთხმოციანი წლების სხვა მსგავსი მიმართულებები წარმოადგენენ სიმბოლურ ღერძსა და სოციალური თავშეყრის ძირითად ადგილს. ასეთი ადგილების რეგულარული ვიზიტორები და დამსწრეები იწოდებიან „კლუბერებად“ და „რეივერებად“.

სორნტონის (1995) განმარტებით, კლუბური კულტურები გემოვნების კულტურებია. ეს გულისხმობს, რომ კლუბში მოსიარულე ხალხს ძირითადად საერთო მუსიკალური გემოვნება აქვთ და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, იქ მოსიარულე ადამიანები

უპირატესობას მსგავსი გემოვნების მქონე ხალხს ანიჭებენ. კლუბურ კულტურებში მონაწილეობა, თავის მხრივ, უფრო მეტად ავითარებს ამ მსგავსებებს, მონაწილეები სოციალიზაციის გზით იძენენ ცოდნას, რა უნდა მოსწონდეთ და რა არა, ეცნობიან კულტურის ღირებულებებსა და მნიშვნელობებს. ეს განსხვავებები - მათი კულტურული ლოგიკა და სოციოეკონომიკური ფესვები - არის სორნტონის კვლევის ძირითადი საგანი (იქვე, 15-16).

ავტორი, თავის წიგნში, ტერმინ „სუბკულტურას“ იყენებს იმ გემოვნების კულტურების აღსანიშნად, რომელსაც მედიამ მიაკრა სუბკულტურის იარლიყი, ხოლო სიტყვა „სუბკულტურულს“ - ქლაბერების მიერ „იატაქვეშეთად“ წოდებული პრაქტიკების სინონიმად.

კლუბური კულტურის იერარქიებისა და ღირებულებების არსის გაგების მცდელობისას, ავტორი ეყრდნობა ფრანგი სოციოლოგის პიერ ბურდიეს შრომებს, განსაკუთრებით მისი წიგნს „განსხვავებულობა" (Distinction 1984) და ესეს, რომელიც გემოვნებასა და სოციალურ სტრუქტრას შორის ურთიერთმიმართებას შეეხება. პიერ ბურდიე ვრცლად წერს კულტურულ კაპიტალის ფენომენის შესახებ, რომელიც აღზრდისა და განათლების პროცესის შედეგად გროვდება და რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული სოციალურ სტატუსთან. კულტურული კაპიტალი განსხვავებულობის სისტემის ძირითადი საყრდენია/ღერძია, რომელშიც კულტურული იერარქია სოციალური იერარქიის ამსახველია და სადაც ადამიანის გემოვნება განსაკუთრებით ასრულებს სოციალური კლასის მარკერის როლს. მაგალითად, ბრიტანეთში, მეტყველებაში აქცენტი დიდი ხანია, რაც კულტურული კაპიტალის მთავარ ინდიკატორად ითვლება, ასევე საუნივერსიტეტო ხარისხიც დიდი ხანია წარმოადგენს კულტურული კაპიტალის ინსტიტუციონალიზებულ ფორმას. კულტურული კაპიტალი განსხვავდება ეკონომიკური კაპიტალისგან. შემოსავლებისა და საკუთრების მაღალი დონე ხშირად არის დაკავშირებული კულტურული კაპიტალის მაღალ დონესთან, მაგრამ შესაძლოა მათ შორის საპირისპირო მიმართულების კავშირიც იყოს. მაგალითად, ტერმინები,

როგორიცაა ახალი მდიდრები (nouveau riche) და ‘’flash’’, ააშკარავებს უთანხმოებას, ერთი მხრივ, კულტურული კაპიტალით მდიდრებს, მაგრამ ეკონომიკური კაპიტალით ღარიბებსა (აკადემიური სფეროს წარმომადგენლები) და მეორე მხრივ, ეკონომიკური კაპიტალით მდიდრებს, მაგრამ კულტურული კაპიტალით ღარიბებს შორის (როგორიც არიან ბიზნესის სფეროში მოღვაწეები და პროფესიონალი ფეხბურთელები).

ბურდიეს სქემის მთავარი უპირატესობა არის ის, რომ ის განსხვავებულია სოციალური სტრუქტურების მკაცრი ვერტიკალური მოდელისგან. ბურდიემ სოციალური ჯგუფები განათავსა უფრო კომპლექსურ, მრავალგანზომილებიან სივრცეში, ვიდრე სწორხაზოვან სქემებსა და საფეხურებზე. მისი თეორიული ჩარჩო მოიცავს ისეთ ცნებასაც, როგორიცაა სოციალური კაპიტალი. კაპიტალის აღნიშნულ ფორმას განსაზღვრავს არა ის, თუ რა იცი, არამედ ის, თუ ვის იცნობ. მეგობრული ურთიერთობები, კავშირები ნათესავებთან, ახლობლებთან თუ უბრალოდ ნაცნობებთან, სოციალური სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა. არისტოკრატია ყოველთვის უფრო მეტ უპირატესობას ანიჭებდა სოციალურ კაპიტალს სხვა კაპიტალებთან შედარებით, ჰქონდა რა უფრო მეტი პრივატული საწევრო კლუბები. სოციალური კაპიტალის ცნება გამოსადეგია სახელის, რეპუტაციის ფენომენის ახსნისასაც, თუ როგორ ხდები ცნობილი იმათთვის, ვინც აქამდე არ გიცნობდა.

აღსანიშნავია, რომ ის, რაც კულტურულ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც კაპიტალს, არის მისი ეკონომიკურ კაპიტალად კონვერტაციის შესაძლებლობა (Garnham and Williams 1986), თუმცა სუბკუტურული კაპიტალი შესაძლოა ისე მარტივად არ გადაიცვალოს ეკონომიკურ კაპიტალში, როგორც ეს ხდება კულტურული კაპიტალის შემთხვევაში.

პიერ ბურდიეს მოსაზრებებზე დაყრდნობით, სარა სორნტონი (1995) აანალიზებს განსხვავებას კულტურულ და სუბკულტურულ კაპიტალს შორის. თუ კულტურული კაპიტალი პერსონიფიცირდება კარგ მანერებსა და ქალაქურ საუბრებში, სუბკულტურული კაპიტალი განსხეულებულია მაშინ, როცა ცნობადი ხდები, რაშიც

გეხმარება სლენგი და შესაბამისი სტილი/გარეგნობა. თუმცა, აღსანიშნავია, რომ ამ ტიპის კაპიტალის გაუფასურებას ისე არაფერი არ განაპირობებს, როგორც მისი მფლობელის მხრიდან მისი დემონსტრირების გადაჭარბებული მცდელობები. სუბკულტურული კაპიტალის სოციალური ლოგიკა, სორნტონის აზრით, ეს არის კლუბური კულტურებისა და რეივერების მიერ საკუთარი თავის გამიჯვნა მეინისტრიმისაგან (Thonrton, 1996: 26).

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელიც სორნტონის წინგში არის განხილული, არის სხვაობა მოცეკვავე ჰიპების, რეივერების სამყაროსა და კრიტიკულად განწყობილ სხვებს - "მეინსტრიმს" შორის. ,,ჩვენ" და ,,მეინსტრიმს" შორის კონტრასტი უშუალოდაა დაკავშირებული სოციალური სამყაროს შესწავლისა და სოციალურ ჯგუფების ერთმანეთისგან გარჩევის პროცესთან. მათი ფარული ელიტიზმი და სეპარატიზმი კიდევ ერთხელ ადასტურებს ისეთ ბინარულ ოპოზიციებს, როგორიცაა ალტერნატიული და „სთრეითი", განსხვავებული და ჰომოგენური, რადიკალი და კონფორმისტი, გამორჩეული და ჩვეულებრივი (იქვე, 15 -30).

გარკვეული სახით, ტერმინი მეინსტრიმი მასების აღმნიშვნელია, რომლისგანაც დისკურსული დისტანციის ხარისხი არის სწორედ ქლაბერების კულტურული ღირებულების საზომი. ახალგაზრდა ქლაბერისა და რეივერების იდეოლოგიები, როგორც არტ-სამყაროს დისკურსები, არის ანტი-მასკულტურული. ორივე მათგანი აკრიტიკებს მეისტრიმს/მასებს მისი იმიტაციურობის და ხელოვნურობის გამო (Huyssen 1986). ისინი ცხადად ავლენენ თავიანთ სიმპათიებს ინოვაციური ხელოვანების მიმართ, თუმცა უარყოფითად არიან განწყობილი მედიის მიმართ. მიუხედავად მსგავსებისა, არტ-სამყარო და ქლაბერები ბევრი რამით განსხვავდებიან კიდეც ერთმანეთისგან. თუ არტ-სამყაროს პრობლემა ფინანსური საკითხია, იატაკქვეშა სუბკულტურების მთავარი საზრუნავი პოპულარობის მიღწევაა მეინსტრიმზე „თავდასხმის" გზით. სუბკულტურული იდეოლოგია ახალგაზრდა ადამიანების, განსაკუთრებით ახალგაზრდა მამაკაცების, სუბორდინირებულის სტატუსს ალტერნატიულ ინტერპრეტაციებსა და ღირებულებებს სძენს, ის სოციალური სამყაროს რეინტერპრეტაციას უზრუნველყოფს.

აქედან გამომდინარე, ავტორი იყენებს ტერმინს „სუბკულტურული იდეოლოგია" რომელიც არის საშუალება ახალგაზრდებისათვის, შეიქმნან წარმოდგენა საკუთარი და სხვების სოციალური ჯგუფების შესახებ, ხაზი გაუსვან თავიანთ განსხვავებულ თვისებებს და დაამტკიცონ, რომ არ არიან ერთგვაროვანი მასის უბრალო ანონიმური წევრები (Thonrton, 1986:18).

კიდევ ერთი საინტერესო და მნიშვნელოვნი საკითხი, რომელზეც ავტორი მსჯელობს, არის ის, თუ რა განაპირობებს კლუბების პოპულარობას ახალგაზრდებში. სუბკულტურული კაპიტალის გარდა, სორნტონი სხვა მიზეზებსაც ასახელებს, მათ შორის თავად კლუბის კონცეპტუალურ მნიშვნელობას. გართობის და თავშეყრის სხვა ადგილებისაგან, მათ შორის პაბესაგან ან საქართველოს რეალობაში რესტორნებისაგან განსხვავებით, კლუბების პოპულარობის კიდევ ერთი მიზეზი არის ის, რომ, თუ პაბები ჰგავს სხვა ნაცნობ ადგილებს, მათში შენარჩუნებულია სახლის მყუდრო ატმოსფერო, ამის საწინააღმდეგოდ, კლუბები მომხმარებელს განსხვავებულ სამყაროს სთავაზობენ. ეს რაღაც ზეციური სამყაროს მსგავსია, სადაც მოცეკვავეებს დროის და სივრცის შეგრძნება ეკარგებათ და ცეკვის მუსიკის წარმოსახვით „გლობალურ სოფელში" აღმოჩნდებიან. კლუბები ამ ეფექტს ხმამაღალი მუსიკით, სპეციფიკური ინტერიერით და სინათლის ეფექტებით აღწევენ. როგორც წესი, მათ აქვთ გრძელი დერეფნები, ზღრუბლებით დაყოფილი, რაც გამოყოფს შიდას გარეგანისგან, პირადულს - საჯაროსგან ცეკვის „დიქტატურა" იწვევს სკოლის, სამსახურის და მშობლების სახლის რუტინის დავიწყებას.

აღნიშნული უპირატესობების გარდა, კლუბები ერთად უყრის თავს მსგავსი გემოვნების მქონე ადამიანებს. კლუბებს აქვთ მოზიდვის უფრო ფართო არეალი და უფრო ვიწრო სპეციალიზაცია მომხმარებლის დემოგრაფიისა და გემოვნების თვალსაზრისით, ვიდრე გართობისა და თავშეყრის სხვა ადგილებს. მოზიდვის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით, კლუბის ორგანიზატორები ცდილობენ, გარკვეული ტიპის დიდი რაოდენობით ადამიანი ერთ კონკრეტულ ღამეს, ერთ ადგილას შეკრიბონ. აქედან გამომდინარე, მეტწილად, კლუბში მისული ხალხი წინასწარაა შერჩეული (რეივებზე

წინასწარი რეგისტრაცია და ბილეთის შეძენა, კლუბისაგან ვერიფიკიაციის მიღება). კარებში არსებული კონტროლის ფორმები, უბრალოდ უკანასკნელი ზომაა. თუ კლუბის და მუსიკალური გემოვნების შესახებ ინფორმაციის გავრცელება არ უზრუნველყოფს იმას, რომ მხოლოდ საჭირო ხალხი მივიდეს ღონისძიბაზე, გარეთ მდგომი დაცვის თანამშრომლები უბრალოდ არ შეუშვებენ იმათ, ვინც „არ ეკუთვნის იქაურობას" (იქვე, 27-40).

§ 2.4 სუბკულტურა და სტილი

სუბკულტურების ანალიზის დროს, მნიშვნელოვანია, სუბკულტურის წევრების მიერ სტილის სიმბოლური გამოყენება. ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევის პროცესში, საინტერესო იქნება ახალგაზრდების მიერ სტილის გამოყენების ანალიზი. იმის დადგენა, თუ რა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს სტილს მათთვის და რა როლს თამაშობს იგი სუბულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში.

კოენი (1965) წერს, სოციალური ჯგუფისთვის, ამ შემთხვევაში სუბკულტურის წევრებისათვის, საერთო ქმედება და იდეოლოგია განაპირობებს მსგავსი სტილის გამოყენებას. „აქტორი ხვდება, რომ ცალკეული საზოგადოების წევრის როლის თამაში მოიცავს გარკვეული ტიპის სამოსის ტარებას, ჟესტებს, სიარულის მანერას, რაიმეს მოწონებას ან არმოწონებას, ეს კი გულისხმობს მსგავს მოძრაობას, საუბრის თემას თუ ამ ჯგუფის წევრის შესაბამისი მოსაზრებების ქონას" (Cohen 1965: 5).

ბრეიკის (1985) აზრით კი, სტილი გამოხატავს სუბკულტურის მიმართ ერთგულებას, ამავდროულად ხაზს უსვამს დომინირებული ღირებულებების მიმართ უთანხმოებასა თუ დაპირისპირებას. სტილი შედგება რამდენიმე მნიშვნელოვანი ელემენტისგან:

1) იმიჯი და გარეგნობა - მოიცავს ჩაცმულობას და სხვადასხვა აქსესუარს;

2) ქცევა და მანერა - მოიცავს გარეგნობას და მოძრაობის მანერას;

3) სლენგი და ენა - მოიცავს მეტყველების მანერას.

სტილი გამოიყენება სხვადასხვა მნიშვნელობით. იგი არის ინდიკატორი, თუ რომელ სიმბოლურ ჯგუფს მიეკუთვნება ადამიანი. ავტორი ამ ჯგუფს გამოყოფს ,,მეინსტრიმისგან.” ვილინერმა (1970) აჩვენა, რომ ამ ცვალებად სოციალურ გარემოში აქტორებს შეუძლიათ შეცვალონ, გამოიგონონ და ერთმანეთში „აურიონ“ იმიჯები და შექმნან ახალი კულტურული სტილი. ამ თვალსაზისით არის სწორედ საინტერესო კლუბური კულტურის წევრების მიერ სტილის გამოყენება. ცდილობენ თუ არა სტილის მეშვეობით გამეჯინონ „მეინსტრიმს“ და შექნან მათთვის დამახასიათებელი კულტურული სტილი.

სტილის გამოყენების მნიშვნელობა კარგადაა გაანალიზებული კარტერის მიერ (1967) ,,ჩვენი ჩაცმულობის ბუნება ძალიან კომპლექსურია. ტანისამოსი ერთდროულად ბევრი რამაა. ჩვენი სოციალური ჯავშანი, სიგნალების სისტემა, რომლის საშუალებითაც გადმოვცემთ ჩვენს ზრახვებს, ვახდენდთ თაროზე შემოდებული’ ფანტაზიის პროექციას, ტანსაცმელი არის ჩვენი იარაღი, ჩვენი გამოწვევები, ჩვენი ხილული შეტევები” (Carter 1976: 13). კარტერი ასევე მსჯელობს იმაზე, რომ ტანსაცმელს და სტილს შესაძლებელია ვიყენებდეთ დომინანტური ნორმების მიმართ პროტესტის ნიშნად, თუმცა ჩვენი სტილის მეშვეობით იმ გარემოს შესახებაც ვაკეთებთ განაცხადს, რომელშიც ვცხოვრობთ. „ვთვლით, რომ ტანსაცმელი ჩვენ გამოგვხატავს, მაგრამ სინამდვილეში, იგი ჩვენს გარემოს ასახავს და ეს პროცესი, ისევე როგორც რეკლამის, პოპ-მუსიკის, პოპულარული ლიტერატურისა და მეორეხარისხოვანი ფილმების შემთხვევაში, აქაც ემოციურად დატვირთულ, არამიზანმიმართულ, ინსტინქტურ დონეზე მიმდინარეობს“ (იქვე,14).

ბრეიკის (1985) აზრით, სტილი სუბკულტურულ დონეზე მოქმედებს, როგორც ჟარგონი, გამომდინარე იქედან, რომ იღებს კოსტიუმებსა და არტეფაქტებს ,,მეინსტრიმული”

მოდის კონტექსტიდან და ამასთანავე, საკუთარი რიტორიკის შესაბამისად ახდენს მათ ტრანსფორმაციას. ავტორს მაგალითად ამერიკის ქუჩის შავი გეტო მოაქვს, მაგრამ ამ კვლევისთვის საინტერესო იქნება კლუბური კულტურის წევრების მიერ სტილის შექმნა, მისი ტრანსფომაცია და მნიშვნელობის შექმნა.

კლარკი (1976) ანთროპოლოგ ლევი-სტროსის შეხედულებების საფუძველზე, იყენებს ტერმნის „ბრიკოლაჟს“, სადაც სტილი გარდაიქმნება ახალ სუბკულტურულ სტილად, ამ შემთხვევაში სტილის ამ ახალ ნაკრებს არ უნდა შევხედოთ ისე, თითქოს ის ატარებდეს იმავე გზავნილს, რაც ძველად არსებულ სტილს ჰქონდა. ახალი სტილი იქმნება არტეფაქტების არსებული ბაზრიდან ობიექტების მითვისებითა და მათი კოლაჟის სახით გამოყენების საშუალებით, რაც ხელს უწყობს ჯგუფის წევრების მიერ ურთიერთ აღიარებას (Clarke, 1976). უილისი (1978) ვარაუდობს, რომ თუ ობიექტები ერთმანეთთან თავსებადია, მათ შორის არის ჰომოლოგია. მაგ.: ჰომოლოგია არსებობს ჰიპებში არსებულ უსტრუქტურობას, ჯგუფის თავისუფალ წევრობასა და პროგრესულ დასავლურ როკ მუსიკას შორის.

დიკ ჰებდიჯი (1979) იყენებს ორივეს - ბრიკოლაჟსა და ჰომოლოგიას - სუბკულტურების ანალიზის დროს. ჰებდიჯმა (1979) ასევე გაამახვილა ყურადღება სუბკულტურების მიერ შექმნილი ახალ და ინოვაციურ სიმბოლოებზე, რომლებიც ხშირად სასაქონლო ღირებულებას იძენს და ფართოდ ხელმისაწვდომი ხდება, რის შედეგადაც ნაკლებ აუთენტური ხდება თავად სუბკულტურებისთვის, რომლებიც იწყებენ ძველი სიმბოლოების და ნიშნების განსხვავებულად გამოყენებას ან ახლების გამოგონებას. ახალგაზრდული კულტურული სტილი, ავტორის აზრით, შეიძლება სიმბოლური გამოწვევის მიზნით შეიქმნას, მაგრამ, საბოლოოდ, ახალი კონვენციების შექმნით დასრულდეს. მაგალითად, პანკების ჩაცმულობა დაიწყო გადაგდებული და გამოუსადეგარი ნივთების, კერძოდ, სანაგვე პარკების/ჩანთების გამოყენებით, მაგრამ შემდგომ პანკური ჩაცმულობა პოპულარული გახდა, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც Zandra Rhodes-მა გამოიყენა ის მოდის სამყაროში. ჰებდიჯისთვის მნიშვნელოვანია

კავშირი სუბკულტურის წევრების ჩაცმის სტილს, თმის ვარცხნილობას, ლექსიკას და სხვა მახასიათებლებს შორის. ჩამოთვლილ მახასიათებლებს შორის კავშირის არსებობა ან არ არსებობა არის საინტერესო კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების შემთხვევაში.

საერთო ჯამში, ჰებდიჯი (1979) ავითარებს მეთოდოლოგიას, რომელიც სცდება იმის ფარგლებს, რაც ერთი შეხედვით არის ,,აშკარას" მიღმა და მიუთითებს, რომ სტილის წაკითხვა ისევე შესაძლებელია, როგორც ტექსტის (Hebdige, 1979).

§2.5 ელექტრონული საცეკვაო მუსიკა, როგორც სოციოკულტურული ფენომენი

წინამდებარე კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საინტერესოა ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მიმოხილვა და მისი როლი სუბკულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში. ელექტრონული საცეკვაო მუსიკა (EDM) მოიცავს ელექტრონული მუსიკის ჟანრების მთელ რიგს (ელექტრო, ჰაუსი, ემბიენტი, ტექნო და სხვ.), რომელიც ძირითადად განკუთვნილია საკლუბო სივრცისათვის. ამ ტიპის მუსიკა და შესაბამისი ცეკვა არის კლუბური კულტურის უმთავრესი მახასიათებელი. სწორედ, მუსიკა და ცეკვა არის მთავარი საშუალება ახალგაზრდებისათვის სტილის, სელფის და სუბკულტურული კაპიტალის გამოხატვისთვის (Hebdige, 1979; Thornton, 1996). „მუსიკა წარმოადგენს არა მხოლოდ სიმბოლურ გამოცდილებას, არამედ ის არის გონებაში და სხეულში გაცოცხლებული გამოცდილება" (Ott & Herman, 2003:250).

დასავლურ ფილოსოფიასა და რელიგიაში არსებობს ბინარული იერარქია გონებასა და სხეულს შორის, სადაც სხეული განხილულია, როგორც მოუთვინიერებელი და უწმინდური. აღსანიშნავია, რომ რეივ და კლუბური კულტურა თავისი მუსიკით და ცეკვის კონცეფციით, სხეულისა და გონების ურთიერთმიმართებაზე აპოლონურ წარმოდგენას უპირსპირდება დიონისური წარმოდგენით. აპოლონური იდეა აღიარებს

წესრიგის, თვითკონტროლის, ბალანსისა და გონების უპირველეს მნიშვნელობას, ამის საპირისპიროდ კი, დიონისური წარმოდგენა აჩვენებს ირაციონალურობის, თრობის, გართობისა და სხეულის პირველადობას (Grosz in Ott & Herman: 257). „რეივების“ დროს, ელექტრო მუსიკის ფონზე ცეკვით, სხეულს ეძლევა ერთგვარი თავისუფლება და იქ მყოფებს შორის იშლება ყველა ტიპის ბარიერი - ეკონომიკური, სოციალური თუ კლასობრივი - და მიიღწევა უნივერსალური ჰარმონია (Silk & Sterm, 1981 : 64).

როგორც ზემოთ აღინიშნა კლუბური კულტურა მისი წევრებისათვის მიმზიდველი ხდება ცეკვაში განსხეულებული თავისუფლების შეგრძნებით, რომლის შედეგადაც ხდება ინდივიდებს შორის განსხვავებების გაქრობა და მიიღწევა ჰარმონიულობა. გამომდინარე იქედან, რომ სხეული არის სოციალური და საზოგადოებრივი კონტროლის ძალიან მნიშვნელოვანი მექანიზმი, ცეკვაში განსხეულებული თავისუფლების შეგრძნება და საკუთარი სხეულის მაქსიმალურად ფლობის, მასზე კონტროლის აღების შეგრძნება კლუბის წევრებისათვის შესაძლებელია ხდებოდეს სოციალური კონტროლისაგან თავის არიდების საშუალება (Ott & Herman, 1981).

მუსიკით და ცეკვით მინიჭებული თავისუფლება შესაძლებელია როლანდ ბარტსის „ექსტაზის“ ცნებას დავუკავშიროთ, სადაც ბარტსი გულისხმობს მუსიკის შეგრძნების/გამოცდილების განსაკუთრებულ გზას. აქ საყურადღებოა ის სივრცე, სადაც ხდება მუსიკით და ცეკვით მიიღება გამოცდილება. საყურადღებოა ისიც, რომ ოპერაში ან თუნდაც როკ მუსიკის კონცერტზე, სადაც აუდიტორია და სცენა ერთმანეთისაგან მკვეთრად არის გამიჯნული და ქცევის/მოქმედებს კონკრეტული წესრიგი არსებობს, სოციალური კონტროლიც ძალიან მაღალია. შესაბამისად, ასეთი ტიპის სივრცეში, ადგილი არ აქვს ბარტსისეულ “ექსტაზსს”. რაც შეეხება კლუბებს და რეივებს, აქ არ არსებობს აკრძალვები და მკაცრად შეზღუდული მოქცევის წესები, არტისტი არ არის მკვეთრად გამიჯნული მსმენელისაგან, სხეულს კი ეძლევა გათავისულფლებისა და სოციალური კონტროლის დაკარგვის საშუალება (Barths in Ott & Herman,1981: 259).

თავი 3. კვლევის შედეგები

კვლევაში მონაწილე ყველა რესპონდენტი არის თბილისის კლუბური კულტურის წევრი. მათი ასაკი მერყეობს 21-დან 30 წლამდე. 15 რესპონდენტიდან 8 არის მამრობითი სქესის, ხოლო 7 - მდედრობითი სქესის. კვლევაში მონაწილე არც ერთი რესპონდენტი არ არის დაქორწინებული. ასევე, ახალგაზრდებისგან 9-ს აქვს ბაკალავრის ან მაგისტრის ხარისხი, ხოლო 6 არის ბაკალავრიატის ან მაგისტრატურის სტუდენტი. მათი კლუბური კულტურის წევრობის ხანგრძლივობა მერყეობს 2-დან 6 წლამდე.

§3.1 თბილისის კლუბური კულტურის მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურული მახასიათებლები

წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენდა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის შესწავლა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მნიშვნელოვანია იმის კვლევა, თუ რა ნიშნები ახასიათებს თბილისის კლუბურ კულტურას და რა გავლენა აქვს მათ ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალზე. ქვემოთ განხილულია თბილისის კლუბური კულტურის მახასიათებლები მაგლტონის (2002) კლასიფიკაციის საფუძველზე.

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ თბილისის კლუბური კულტურა ატარებს, როგორც მოდერნული, ასევე პოსტმოდერნული სუბკულტურის ნიშნებს. მაგლტონის (2002) კლასიფიკაციიდან, მოდერნული სუბკულტურის ნიშნებს წარმოადგენს ჯგუფური იდენტობა და აქცენტი ერთ განსაზღვრულ იდენტობაზე ხოლო პოსტმოდერნულის ნიშნებს - იდენტობის ფრაგმენტაცია და აქცენტი მრავალმხრივი სტილისტური იდენტობაზე. ამ თვალსაზრისით, თბილისის კლუბებს პოსტმოდერნული სუბკულტურის ნიშნები ახასიათებს. როგორც რესპონდენტები ინტერვიუს პროცესში აცხადებდნენ, თბილისის კლუბებში, მისი წევრები ერთ ჯგუფურ იდენტობას არ

იზიარებენ, პირიქით, კლუბური კულტურის შიგნით მის წევრებს სხვადასხვა იდენტობა შეიძლება გააჩნდეთ, ან კონკრეტული წევრი შეიძლება მრავალ იდენტობას ატარებდეს. აღნიშნული მახასიათებელი რესპონდენტებისთვის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო იყო, გამომდინარე იქედან, რომ მათთვის კლუბი წარმოადგენს სივრცეს, რომელიც საშუალებას აძლევს, თავი მოიაზრონ ამ სივრცის წევრებად, განურჩევლად მათი სექსუალური ორიენტაციის, ეთნიკური წარმომავლობის, რელიგიური თუ პოლიტიკური შეხედულებებისდა სხვ. ამას გარდა, თბილისის კლუბური კულტურაში მის წევრებს საშუალება აქვთ საკუთარი სურვილით, თავისუფლად აირჩიონ იდენტობა, ამ პროცესში კი გარდამტეხი არის კლუბური კულტურის წევრად გახდომის პერიოდი, როდესაც მიმდინარეობს ახალგაზრდების რესოციალიზაცია, თვითაღქმის ცვლილება, შედეგად კი, საკუთარი სურვილით იდენტობის არჩევა.

„კლუბი მაგიტომ მომწონს, რომ მრავალფეროვანია, ერთმანეთის გვერდით შეიძლება სრულიად განსხვავებული ადამიანები ერთობოდნენ, სექსუალური უმცირესობის, განსხვავებული რელიგიური შეხედულებების ადამიანები, რა ვიცი, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები. კლუბში ყველა მათგნისათვის არის ადგილი და ვინმე არ გთხოვს, რომ გინდა თუ არა, ასეთი იყავიო“ (გაგა, 24 წლის).

„იმ ღამეების განმავლობაში, რომელსაც კლუბში ვატარებთ, ადამიანები ვხედავთ, როგორი მრავალფეროვანი შეიძლება იყოს სამყარო და როგორ შეგვიძლია სრულიად განსხვავებულ ადამიანებს ერთად თანავიარსებოთ. ყველაზე მაგარი ისაა, რომ ვისაც საკუთარი თავის კონკრეტული წარმოდგენა ჰქონდა, კლუბში რომ მოვიდა, თვითგამორკვევის პროცესი წავიდა, მიხვდა, რომ თურმე სხვა შეხედულებებიც შეიძლება ჰქონდეს სამყაროზე და ჩარჩოში გამოჭრილი ერთი იდენტობა არ არის აუცილებელი, რომ გქონდეს“ (ანრი, 30 წლის).

შემდეგი ნიშნები, რომლებიც მაგლტონის (2002) კლასიფიკაციაში გვხვდება, არის მოდერნული სუბკულტურის ნიშნები: სტილის ჰომოგენურობა, რწმენებსა და ღირებულებებზე აქცენტირება და პოსტმოდერნული ნიშნები: სტილის ჰეტეროგენულობა, სტილსა და იმიჯზე აქცენტირება. აღნიშნულ დიქოტომიებში, თბილისის კლუბური კულტურა იზიარებს მოდერნული სუბკულტურის ნიშანს - სტილის ჰომოგენურობის თვალსაზრისით და პოსტმოდერნულ ნიშანს სტილსა და იმიჯზე აქცენტირების თვალსაზრისით. ყველა რესპონდენტმა მსგავსად აღწერა კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი სტილი. კლუბური კულტურის წევრები იზიარებენ ჩაცმულობის მეტნაკლებად ერთნაირ სტილს, სადაც დომინანტი არის შავი ფერი და სპორტული ტანსაცმელი. ასევე, ახასიათებთ ცეკვის და მოძრაობის მსგავსი სტილი, მსგავსი მუსიკალური გემოვნება, ენობრივი მახასიათებლები, აქსესუარები და ვიზუალი. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, სტილის ჰომოგენურობას სიმბოლური დატვირთვა აქვს მისი წევრებისთვის და ამით ჯგუფთან, ამ შემთხვევაში, კლუბურ კულტურასთან, მჭიდრო კავშირს გამოხატავენ.

„კი, ხაზგასმით კი. არა მარტო მე და ჩვენ ვამჩნევთ, უცხოელებიც რომ ჩამოდიან, ამბობენ, რომ საქართველოში გვაქვს განსხვავებული ტექნოს აღქმა. ზუსტად გამოიხატება არა მხოლოდ ჩაცმაში, არამედ ცეკვის სტილშიც. სხვანაირად ვცეკვავთ და ცეკვავენ, ვყოფილვარ ევროპის რამდენიმემ ქვეყნის კლუბებში, ბერლინში, ბუდაპეშტში, ვენაში და ქართული ტექნოს სცენა ძალიან განსხვავებულია ცეკვის სტილით, ჩაცმის სტილითაც, ეს რაღაც ვინტაჟური 80-90-იანების ჩაცმულობა ახლა მოდაში შემოვიდა. ამ "რეივერებს" დავარქმევდი, თუმცა ბევრი არ მიიჩნევს თავს რეივერად, რაღაც აქსესუარებიც არის მოდაში, ჯაჭვები, ღუზები, უკეთიათ ასეთი სათვალეები, რაღაც ფერადი, ვიწრო, "გასულ" სათვალეებს ეძახიან და კიდე ცეკვას გავუსვამდი აბსოლუტურად ხაზს. როგორ ავხსნა არ ვიცი, რაღაც ერთნაირი სტილი აქვთ ზუსტად ამათ, ხშირად ვინც დადიან. ტატუებიც შეიძლება ხშირად აქვთ. გამაერთიანებლად ჩავთვლიდი ცეკვისა და ჩაცმულობის სტილს და რომ შეხედავ, მიხვდები, რომ აი, ეს არის ის, ვინც ხშირად დადის და ეს არა. წეღან სათვალეზე რომ ვახსენე, "გასული", რაღაც ასეთი ტერმინებიც არის, ახლა შევეცდები

გავიხსენო, რეივი და რეივერობაც ამათი ტერმინია, "ჩაჭერა", "შეყვანა", "გახსნა" ეს ნარკოტიკების შემთხვევაში, გამიხსნაო, ამბობენ" (ნანა, 23 წლის).

მაგლტონის (2002) კლასიფიკაციაში ასევე ვკითხულობთ მოდერნული და პოსტმოდერნული სუბკულტურის სხვა ნიშნებს, სადაც მოდერნულის ნიშნებს წარმოადგენს: სუბკულტურის მყარი საზღვრები, სუბკულტურასთან მიჯაჭვულობის მაღალი ხარისხი და სუბკულტურის ბუნდოვანი საზღვრები. ხოლო პოსტმოდერნულის - სუბკულტურის ბუნდოვანი საზღვრები, სუბკულტურასთან მიჯაჭვულობის დაბალი ხარისხი და სუბკულტურის წევრობის მოკლევადიანი განცდა. სამივე ნიშანი, ლოგიკურ ბმაშია ერთმანეთთან, რაც ამ კვლევაშიც დადასტურდა. ამ შემთხვევაში, თბილისის კლუბურ კულტურას პოსტმოდერნული ნიშნები ახასიათებს. მართალია, კვლევაში ჩართული ახალგაზრდებისათვის კლუბურ კულტურას დიდი ადგილი უჭირავს, თუმცა, მათ ნარატივში მოდერნული სუბკულტურის ნიშნები არ იკვეთება. ისინი კლუბისაგან განსხვავებულ ჯგუფებში თუ სივრცეებშიც სოციალიზდებიან და ატარებენ თავისუფალ დროს. შესაძლებელია, ადგილი ჰქონდეს კონკრეტული პერიოდით კლუბურ კულტურასთან წევრობის წყვეტას და შემდეგ უკან დაბრუნებას. ასევე, თბილისის კლუბური კულტურის წევრი შესაძლებელია გახდეს ყველა ადამიანი, გამომდინარე იქედან, რომ კლუბური კულტურა არ აწესებს მნიშვნელოვან საზღვრებს და ბარიერებს მისი არაწევრი ახალგაზრდებისათვის.

„იცი, რა არის, ვცდილობ, რომ კლუბი არ იყოს ჩემი ერთადერთი გასართობი. იყო ერთი პერიოდი მასე, რომ აი, მუდმივად კლუბში დავდიოდი, მაგრამ ახლა ვცდილობ, კლუბთან ერთად სხვა წასასვლელი ადგილებიც მქონდეს, სხვაგანაც გავიცნო ადამიანები და იქაც მიმესვლებოდეს. არ ვფიქრობ, რომ 100%-ით ვარ კლუბზე დამოკიდებული, ჩემს თავისუფალ დროს სხვაგანაც ვხარჯავ და მე პირადად ვიღებ სხვადასხვა ჯგუფიდან ჩემთვის სასურველ ელემენტებს და ჩემთვის სასურველს ვქმნი" (დათა, 22 წლის).

კლასიფიკაციაში მოდერნული სუბკულტურის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მახასიათებელს წარმოადგებს სუბკულტურის შიგნით ნაკლები მობილობა, ხოლო პოსტმოდერნულის - მეტი მობილობა. ამ თვალსაზრისით, თბილისის კლუბური კულტურა პოსტმოდერნულ ნიშანთან არის თანხვედრაში, გამომდინარე იქედან, რომ, როგორც კლუბური კულტურის შიგნით, ასევე სხვადასხვა კლუბებს შორის, მობილობის შესაძლელობა გვხვდება. რესპონდენტები, საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს, აღნიშნავდნენ, რომ შესაძლებელია, კლუბური კულტურის წევრობიდან კონკრეტული ადამიანი კლუბის მენეჯმენტის წევრობამდე მივიდეს, ან ერთი კლუბიდან გადავიდეს და სხვა კლუბში დაიწყოს სიარული.

„ადამიანები, ვინც დადიოდა კლუბში, მართლა იქ ვინც გაიცნო ხალხი, დასაქმებულან კიდევაც კლუბში, მათ სოციალურ მედიაში, ივენთების მენეჯერადაც კი. დეკოდერზე [ელექტრონული მუსიკის ფესტივალი] დაიწყო მუშაობა ერთმა, ანუ მე იქ უბრალოდ გასართობად, განსატვირთად მივდიოდი და ვიღაცეებმა მართლა დაიწყეს მაგ მუსიკის მოსმენა და ვიღაცეებმა კეთებაც კი დაიწყეს. ვიღაცეები შეიძლება მარტო გასართობად მიდიოდნენ, მაგრამ, თუ კონკრეტულ ადამიანს უნდა, რომ უბრალოდ მსმენელზე მეტი იყოს, იმდენად ორგანულია მისთვის კლუბური კულტურა, რომ მარტივად შეუძლიათ გადაინაცვლონ სტაფში, მერე კი - მენეჯმენტში“ (გოგა, 21 წლის).

მაგლტონის (2002) კლასიფიკაციაში მოდერნულ სუბკულტურას ახასიათებს პოლიტიკური წინააღმდეგობის გამოხატვა, ხოლო პოსტმოდერნულ სუბკულტურას აპოლიტიკურობა. თბილისის კლუბურ კულტურას, ამ თვალსაზრისით, მოდერნული სუბკულტურის მკვეთრად გამოხატული ნიშანი ახასიათებს - პოლიტიკური წინააღმდეგობის გაწევა. თბილისის კლუბებმა მათი არსებობის განმავლობაში, არაერთი პოლიტიკური განცხადება გააკეთეს. მთავარი კი მათ შორის არსებული ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნაა. მართალია, უშუალოდ კლუბების ჩართვამდე არსებობდა ნარკოპოლიტიკის შეცვლის მოთხოვნისთვის შექმნილი მოძრაობები, მაგრამ 2015 წლის 10 ნოემბერს ინტერნეტში „თეთრის ხმაურის“ ვიდეომანიფესტი ვრცელდება:

„...მათ იციან, რომ საგნების გაქრობა შეუძლებელია და არ ებრძვიან ნარკოტიკს, გვებრძვიან ჩვენ, მოქალაქეებს და გვაქრობენ პოლიტიკური ცხოვრებიდან. სიცრუის დრო დასრულდა,თეთრი ხმაურის დროა“. „თეთრი ხმაურის მოძრაობის“ მნიშვნელოვანი მოკავშირეები კლუბი „ბასიანი“ და კლუბი „ხიდზე“ იყო. მოძრაობამ ბევრი ფართომასშტაბიანი აქცია გამართა, რომელიც ნარკოპოლიტიკასთან დაკავშირებულ არაერთ საკითხს აპროტესტებდა, მათ შორის მოქალაქე ლევან აბზიანიძის გარდაცვალებას, რომელიც ნარკოტესტზე მიღებული მოსაშარდი წამლების შედეგად წნევის დავარდნით გარდაიცვალა. ასევე, 0.000009 გრამი დეზომორფინისთვის დაკავებული მოქალაქე ლევან ბახუტაშვილის დაკავების საქმეს. „2016 წლის 20 აგვისტოს, სამტრედიის პოლიციის განყოფილებასთან მოძრაობის ყველაზე ხმაურიანი აქცია გაიმართა, აქტივისტები დემურ სტურუას საქმის გამოძიებასა და დამნაშავეების დასჯას ითხოვენ. 20 წლის ბიჭმა, რომელმაც პოლიციის ზეწოლას და შანტაჟს ვერ გაუძლო, თავი ჩამოიხრჩო. შემდეგი აქცია 2017 წლის 10 ივნისს გაიმართა. თბილისის ქუჩებში ათასობით ადამიანი გამოდის მუსიკალურ კლიპში პოლიციის გაშარჟების გამო დაკავებული არტისტების გათავისუფლებისა და ნარკოპოლიტიკის ჰუმანიზაციის მოთხოვნით“ (კიკონიშვილი, 2019).

2018 წლის 12 მაისს სპეციალური დანიშნულების რაზმი კლუბებში "ბასიანი" და "გალერი" შეიჭრა. სპეცოპერაციების შემდეგ კი პოლიციამ კლუბების მხარდასაჭერად შეკრებილი ადამიანების აქცია დაარბია და ათეულობით მონაწილე დააკავა. შსს აცხადებდა, რომ ნარკოტიკული საშუალებების გასაღების ფაქტების გამოსავლენად ინტენსიურ ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებებს 3 თვის განმავლობაში აწარმოებდა, 12 მაისს ამ კლუბებში შესაბამისი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა და ნარკოტიკული საშუალების გამსაღებელი 8 პირი დააკავა.

12 მაისის ღამესვე, პარლამენტის შენობასთან დაიწყო აქციები, რომელშიც კლუბური კულტურის წევრები მონაწილეობდნენ. მათი მოთხოვნა იყო პრემიერ-მინისტრის და შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომა. ასევე, ძალადობრივ ოპერაციაზე

პასუხისმგებელი ყველა პირის დასჯა და „ქართული ოცნების" პოლიტიკური პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება. კლუბური კულტურის წევრები პროტესტს გამოხატავდნენ და კლუბური კულტურის წევრობას ხაზს უსვამდნენ აქციების სლოგანით "We dance together, we fight together"/ჩვენ ვცეკვავთ ერთად, ჩვენ ვიბრძვით ერთად."

2019 წლის მაისში, რეიდებიდან 1 წლის თავზე, კლუბებმა ქალაქის სხვადასხვა უბანში დიდი ზომის ბანერები გამოფინეს. აღნიშნულ ბანერებზე სხვადასხვა წარწერა იყო გაკეთებული: „უფრო მორჩილი სასამართლო," „ძალაც და უფლებაც ოლიგარქს," „მეტი ფარული ჩანაწერი," „ყველა ციხეში," „არა თავისუფლებას," „ციანიდი ხომ არ გაქვს?" „ისევ დაგვშალეს," „მოიჭრას ყველა ხე" და პოლიტიკური შინაარსის სხვა მსგავსი წარწერები.

კლუბები, ასევე, ხშირად არიან ოფიციალურად ჩართულები სხვადასხვა სახის სოციალური და პოლიტიკური შინაარსის პროტესტში, მათ შორისაა ლგბტქ ადამიანების მხარდაჭერა, მშრომელთა უფლებები და სხვ. ზემოთ აღწერილი ფაქტები პირდაპირ მიუთითებს, რომ თბილისის კლუბების დღის წესრიგში დგას პოლიტიკური წინააღმდეგობის გამოხატვა. იმავეს იზიარებენ კვლევაში ჩართული ახალგაზრდები, რომლებმაც ინტერვიუს პროცესში განაცხადეს, რომ თვითონაც აქტიურად ესწრებონენ 2018 წლის მაისის აქციებს და ამით საკუთარ პროსტესტს გამოხატავდნენ ნარკოპოლიტიკის და სახელმწიფოს მიმართ.

„ჩვეულებრივად მისული ვიყავი იმ ღამეს კლუბში, მე რომ მივედი, უკვე პოლიცია შესული იყო. ძალიან ქაოსი და გაუგებრობა ტრიალებდა. როგორც კი თქვეს, რუსთაველზე უნდა გადავიდეთო, არც დავფიქრებულვარ, ისე ვიდექი რუსთაველზე რამდენიმე დღის განმავლობაში და კიდევ თუ ექნება მსგავსს ფაქტს ადგილი, კიდევ იმავეს გავაკეთებ" (გოგა, 21 წლის).

კიდევ ერთი მნიშვნელოვანია დიქტომია კლასიფიკაციაში არის მედიის მიმართ ანტიპათია და მედიის მიმართ სიმპათია. ამ შემთხვევაში თბილისის კლუბური კულტურას მოდერნული ნიშანი - მედიის მიმართ ანტიპათია ახასიათებს. რესპონდენტები ინტერვიუს პროცესში ხშირად აღნიშნავდნენ, რომ კლუბური კულტურა საზოგადოების თვალში მარგინალიზებული და დემონიზებულია, რაც გამოწვეულია მედიის მიერ შექმნილი დისკურსით „კლუბის საშიშ, გარყვნილ და ღირებულის არმქონე სივრცედ წარმოჩენის“ შესახებ. რესპონდენტების აზრით, მედიის მიმართ ანტიპათია 2018 წლის მაისის აქციების შემდეგ გაიზარდა, რა დროსაც სხვადასხვა მედია საშუალება მიმდიანარე პროცესებს არაობიექტურად აშუქებდა და „მთავრობის სასარგებლო სიუჟეტება ამზადებდა“.

„კლუბებს ისე წარმოაჩენენ, ვითომ, მართლა სოდომი და გომორი იყოს შიგნით და ადამიანები, ვინც იქ დავდივართ - გარყვნილები და დამნაშავეები. ნარკოტიკი თუ არ გინდა, ძალით არავინ მოგცემს და მაისში ისეთი სიუჟეტები კეთდებოდა, ადამიანს ეგონებოდა, ყველა კუთხეში ყრია ნარკოტიკი და შიგნით ვინც არის, ყველა გასული იყო კაიფით“ (მარია, 23 წლის).

ბოლო ნიშანი მაგლტონის (2002) კლასიფიკაციაში, რომელიც მოდერნულ და პოსტმოდერნულ სუბკულტურებს ახასიათებს, არის აუთენტურობის განცდა და აუთენტურობის შესახებ აზრის ცვლილება/გადაფასება. საგულისხმოა, რომ თბილისის კლუბური კულტურა იზიარებს პოსტმოდერნულ ნიშანს, რომელიც გამოიხატება მისი წევრების მხრიდან კლუბური კულტრასთან მიმართებით აუთენტურობის შესახებ აზრის ცვლილებაში. უფრო კონკრეტულად რესპონდენტები ინტერვიუს პროცესში საუბრობდნენ იმასთან დაკავშირებით, რომ თბილისის კლუბური კულტურის კონცეფცია და მისი წევრების სტილი, რაღაც მახასიათებლებით ჰგავს ევროპულ, უფრო კონკრეტულად კი ბერლინის კლუბებს, თუმცა რესპონდენტები დარწმუნებულები არიან, რომ კლუბურმა კულტურამ თბილსში შეიძინა უნიკალური მახასიათებლები, რომლებიც გამოიხატება კლუბური კულტურის წევრების სტილით, მუსიკით, კლუბების დიზაინით,

მუსიკით თუ სხვა მახასიათებლებით. ამ შემთხვევაში აუთენტურობას განსაზღვრავს არა ის ფაქტი, თუ რა ითვლება კლუბური კულტურის კლასიკურ კოცენფიცად ან სტილად, არამედ რა დამატებითი „ქართული ელემენტები“ შეიძინა თბილისის კლუბურმა კულტურამ მისი არსებობის წლების განმავლობაში.

„კი, განვითარდა ჩვენთან კლუბური კულტურა, მაგრამ მაინც ჯერ კიდე ბევრია, რასაც ვსწავლობთ. მე ბერლინშიც ბევრ კლუბში და ხშირად ვარ ნამყოფი და მგონი, რომ ჯერჯერობით ბერლინიდან არის კოპირებული. მართალია, ჩვენც გვაქვს რაღაცეები გაკეთებული, მაგრამ, მთლიანობაში აღებული, ბერლინური კლუბის იდეაა გადმოქართულებული,რაც უფრო საინტერესოს და მიმზიდველს ხდის ჩვენს კლუბებს“ (რეზო, 28 წლის).

§3.2 კლუბური კულტურის წევრების სოციალიზაცია კლუბში

§3.2.1 პირველი ვიზიტი კლუბში

მოცემული კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საინტერესოა იმის ანალიზი, თუ როგორ ხორციელდება კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების პირველადი სოციალიზაცია ამ კულტრასთან. სავარაუდოა, რომ პირველ გამოცდილებასა და შთაბეჭდილებებს ღამის კლუბებთან მიმათებით, დიდი გავლენა აქვს ახალგაზრდების გადაწყვეტილებაზე, გახდნენ თუ არა კლუბური კულტურის წევრები.

ინტერვიუების პროცესში, რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას იმასთან დაკავშირებით, თუ რატომ გადაწყვიტეს პირველად კლუბში წასვლა. აღსანიშნავია, რომ კვლევაში ჩართული ახალგაზრდების უმრავლესობა პირველად საკუთარი ინიციატივით არ წასულა კლუბში. ისინი წაიყვანეს მეგობრებმა/ნაცნობებმა/თანამშრომლებმა, რომლებიც უკვე იყვნენ კლუბური კულტურის წევრები.

„ვმუშაობდი ბარში და წავედი სრულიად სპონტანურად, სრულიად შეუსაბამოდ მეცვა, რაღაც გრძელი კაბა. წამიყვანა ჩემმა მენეჯერმა, მეშინოდა, ხელი არ გამიშვა თქო, ვეუბნებოდი, ასეთი იყო ჩემი პირველი გამოცდილება“ (ანი, 25 წლის).

რამდენიმე რესპონდენტი საკუთარი ინიციატივით წავიდა პირველად კლუბში. მათი პირადი ინიციატივა დაკავშირებული იყო ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მოსმენის, ცეკვისა თუ სხვა ადამიანების გაცნობის სურვილთან.

„მე მიზანმიმართულად წავედი კლუბში, მე ვარ ქვიარ აქტივისტი და მაშინ რაც მომეწონა, იყო სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებისათვის ერთადერთი ადგილი, სადაც მათ შეეძლოთ შეკრებილიყვნენ და საკუთარი თავი გამოეხატათ. დღეს კლუბებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვს, კომერციულია და მაშინ რატომაც დავიწყე მე კლუბში აქტიურად სიარული, იყო, რომ კონკრეტული ადამიანებისათვის იყო სივრცე სოციალიზაციისათვის და დავდიოდი, ჩემნაირი ადმაიანები რომ მეპოვა და დავახლოვებოდი“ (თორნიკე, 24 წლის).

§3.2.2 მოლოდინები კლუბურ კულტურასთან დაკავშირებით

რესპონდენტები საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს ამბობდნენ, რომ სანამ კლუბური კულტურის წევრები გახდებოდნენ, მათ ჰქონდათ წინასწარი მოლოდინები კლუბთან დაკავშირებით. კონკრეტულად ის, რომ კლუბში იქნებოდა „ხარისხიანი მუსიკა,“ „აგრესიისაგან დაცლილი გარემო“ და ა.შ. სწორედ ამ მოლოდინების გამართლებამ უბიძგა მათ, გაეგრძელებინათ კლუბში აქტიურად სიარული და საბოლოოდ, გამხდარიყვნენ მისი წევრები.

„მოლოდინი მქონდა, რომ დამხვდებოდა თავისუფალი გარემო, თავისუფალი ხალხი, მაქსიმალური გართობა და ცეკვა. ველოდებოდი, რომ კლუბში ყველას ეძლეოდა საკუთარი თავის დამკვიდრების საშუალება. უმაღლესი ხარისხის მუსიკა და შენი სურვილისამებრ ცეკვა. მოკლედ, იმ თავისუფლებას, რაც ყოველდიურ ცხოვრებაში არ გვაქვს ხოლმე. ყველანი ნორმატიულ კულტურაში ვცხოვრობთ დღისით და შებოჭილები ვართ ჩვენს ქმედებებში. ამიტომ ველოდებოდი, რომ კლუბში ყველა სტერეოტიპი დაინგროდა. მართალია, მეგობრებმა წამიყვანეს პირველად, მაგრამ აი, პირველივე ვიზიტზე გამიმართლდა მოლოდინი და გადავწყვიტე, რომ ეს იქნებოდა სივრცე, სადაც ხშირად ვივლიდი“ (დიანა, 29 წლის).

§3.2.3 კლუბურ კულტურასთან წყვეტა

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე რესპონდენტს ჰქონდა კონკრეტული პერიოდით კლუბურ კულტურასთან წყვეტა. წყვეტის პერიოდი მერყეობს 3-დან 5 თვემდე და დაკავშირებულია საკმარისი ფინანსების არქონასთან, დროის უქონლობასა და 2018 წლის მაისის მოვლენებთან. ვისაც ეკონომიკური მიზეზით ჰქონდა წყვეტა, ის ახალგაზრდები ინტერვიუს პროცესში ამბობდნენ, რომ, სანამ კლუბური კულტურის აქტიური წევრები გახდებოდნენ, უწევდათ ბილეთების შეძენა, ასევე ბარში სასმელის შეძენა, ტაქსით სარგებლობა და ა.შ. რაც საკმაოდ „ბევრ ხარჯთან“ იყო დაკავშირებული. მას შემდეგ კი, რაც აქტიური წევრები გახდნენ, კლუბში ბილეთიც და სასმელიც ძალიან ხშირად უფასოდ აქვთ.

„თავიდან კარზე ვყიდულობდი ხოლმე ბილეთებს, წარმოიდგინეთ, 200 ლარამდე ჯდებოდა თავის სასმლიან, ტაქსიან, ბილეთიანად წასვლა და არ მქონდა ხოლმე მაგდენი ფული. მერე, რაც ხალხი გავიცანი და ხშირი სტუმარი გავხდი, თითქმის არაფერში მეხარჯება ფული“ (მარი, 25 წლის).

კლუბში სიარულის დროებით შეწყვეტის ერთ-ერთი მიზეზი, რომელიც რამდენიმე რესპონდენტმა დაასახელა, არის 2018 წლის მაისში, პოლიციის რეიდების შემდეგ, მსგავსის განმეორების შიში. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, 2018 წლის მაისში, შინაგან საქმეთა სამინისტრომ კლუბებში სპეცოპერაცია ჩაატარა და ნარკოტიკების გასაღების ბრალდებით რამდენიმე ადამიანი დააკვა.

„მაშინ ისე გამოგვყარეს და ისეთი ქაოსი იყო, ცოტა ხანი აღარ დავდიოდი, ცოტა მეშინოდა კიდეც, რამე მასეთი არ მომხდარიყო და შემთხვევით მეც შარში არ გავხვეულიყავი. მერე ჩემი მეგობრებისაგან რომ გავიგე, არაფერი საშიში არ ხდებოდა, გავაგრძელე სიარული“ (დათა, 22 წლის).

§3.2.4 კონკრეტული კლუბის არჩევა

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ თბილისის კლუბური კულტურა არ გულისხმობს მხოლოდ ერთი კონკრეტული კლუბის წევრობას, არამედ მის წევრებს საშუალება აქვთ, აქტიურად იარონ სხვადასხვა ღამის კლუბში. მართალია, თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები სხვადასხვა კლუბებში დადიან, თუმცა, კვლევის პროცესში, კითხვაზე „რომელ კლუბში დადიხართ ყველაზე ხშირად და რატომ?“, სხვადასხვა მიზეზს ასახელებდნენ, როგორც კლუბურ კულტურაში სოციალიზაციის პირველ ეტაპზე ამა თუ იმ კლუბზე არჩევანის გაკეთების ძირითად მოტივს. ყველაზე ხშირად რესპონდენტები საუბრობენ იმ ფაქტზე, რომ კონკრეტულ კლუბში დადიან იმის გამო, რომ იქ მათი ბევრი ნაცნობი/მეგობარი დადის და მუშაობს კიდეც.

„სტაფი მიყვარს ძალიან. ერთხელ ვიმუშავე კიდეც ცოტა ხნით. რომ მივდივარ ბასიანზე, დაწყებული დაცვიდან, დამთავრებული ბარმენებით, ყველას ვიცნობ, ყველას უხარია ჩემი მისვლა, მე მათი დანახვა და ეს დიდ სიამოვნებას მანიჭებს. ძალიან თავისუფლად ვარ და მიმიხარია ბასიანზე იმიტომ, რომ ყველა, ვინც იქ მუშაობს, ჩემი კარგი მეგობარია

და ვინც იქ დადის, ასევე ბევრს ვიცნობ. კიდევ, დიჯეებს, ვინც ბასიანზე უკრავენ, უმეტესობას ვიცნობ და მომწონს მათი შემოქმედება“ (მარია, 23 წლის).

სოციალიზაციის ეტაპზე, კლუბზე არჩევანის გაკეთება უკავშირდება „დაღვინებული რეივერების“ ფაქტს. რესპონდენტები საუბრობენ, რომ კონკრეტულ კლუბში მისი წევრები უფრო გამოცდილები არიან, უკეთესად ესმით მუსიკა და იციან, როგორ უნდა მოიქცნენ კლუბში.

„ხიდზე ყველანაირი ადამიანი დადის და ქაოსია, ბასიანზე უფრო ჩამოყალიბები ხალხია, არ ცანცარებენ და იციან იმ სივრცის ფასი, სადაც მოვიდნენ. შესაბამისად, ჩემთვის უფრო კომფორტულია დაღვინებულ რეივერებთან ერთად ვიყო რამდენიმე საათის განმავლობაში, ვიდრე გამოუცდელ ბავშვებთან ერთად“ (ანი, 25 წლის).

§3.2.5 კლუბების დიზაინი და ლოკაცია

კლუბურ კულტურასთან სოციალიზაციის პროცესში, დიდ მნიშვნელობას იძენს ღამის კლუბების დიზაინი/ინტერიერი და ლოკაცია. სარა სორნტონი (1995) აღნიშნავს, რომ თანამედროვე კლუბები არასტანდარტულ ადგილებში არსდება, მათ შორის უფუნქციოდ დარჩენილ ქარხნებში, მიტოვებული თვითმფრინავების ანგრებში და სხვ. როგორც თეორიული მიმოხილვის ნაწილში აღინიშნა, სორნტონის (1995) აზრით, კლუბების პოპულარობას ახალგაზრდებში განსაზღვრავს მათი შიდა ინტერიერიც, სადაც მთლიანად არის დაკარგული სახლის მყუდროების შეგრძნება. კლუბებს ისეთი ინტერიერი და დიზაინი აქვთ, სადაც მოცეკვავეებს დროისა და სივრცის შეგრძნება ეკარგებათ. კლუბები ამ ეფექტს ხმამაღალი მუსიკით, სპეციფიკური ინტერიერითა და სინათლის ეფექტებით აღწევენ. როგორც წესი, მათ აქვთ გრძელი დერეფნები, ზღურბლებით დაყოფილი, რაც გამოყოფს შიდას გარეგანისგან, პირადულს - საჯაროსგან, ცეკვის „დიქტატურა“ იწვევს სკოლის, სამსახურის და მშობლების სახლის რუტინის დავიწყებას (Thornton, 1995).

რესპონდენტები საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ კლუბურ კულტურასთან სოციალიზაციის პროცესში, მათზე დიდი გავლენა იქონია კლუბების დიზაინმა. როგორც ისინი ამბობენ, კლუბური დიზაინის კონცეფცია (ხმამაღალი მუსიკა, ჩაბნელებული გარემო, სპეციფიკური განათებისა და მუსიკის სინქრონი, შელესილი კედლები, მიწისქვეშა ატმოსფერო) მათ ეხმარებათ ემოციების უკეთ გამოხატვაში.

„მომწონს, განსაკუთრებით განათება. აი, სხვა კლუბებში, მაგალითად, შარდენის ისე ახლოს ვერ მოდის, ვთქვათ, იქ ასე ვერ ვიცეკვებ და ხიდის და ანდერგრაუნდ კლუბების შემთხვევაში, ეს სიბნელე და განათება ახლოს მოდის ჩემს განწყობასთან. ჭრელ კედლებში და რაღაც გარემონტებულ სივრცეებში თავს კომფორტულად ვერ ვიგრძნობდი, ეს სიბნელე მეხმარებაში იმაში, ვიყო ის, ვინც რეალურად ვარ, არ შემრცხვეს და უკომპლექსოდ ვიცეკვო“ (დიტო, 27 წლის).

„მე ძალიან მიზიდავს ის ფაქტი, რომ ბასიანი არის ძველი აუზის ტერიტორიაზე; ისიც მიზიდავს, რომ სტადიონის ქვეშაა და, საერთო ჯამში, არასტანდარტულ ადგილასაა. ალბათ, ასეთი გარემო გამოხატავს, გარეთ რომ სრულყოფილებას ვეძებთ და ვიღწვით, რომ მოვიპოვოთ ყველაფერში, მაგის საპირსპიროს; მაგრამ რაღაც მომენტში ყველა ვიაზრებთ, რომ თავად ჩვენ არ ვართ სრულყოფილები და გინდება ისეთ ადგილას გაიქცე, რომელიც შენსავით არასრულყოფილია, იქ რაღაც ერთმანეთს ერწყმებით და ხდებით სრულყოფილები ან, პირიქით, არასრულყოფილები, გააჩნია, რა განწყობაზე ხარ იმ მომენტში“ (მარი, 25 წლის).

§3.2.6 კლუბურ კულტურაში ქალების და კაცების სოციალიზაცია

კვლევის პროცესში გამოვლინდა, რომ ქალებს და კაცებს კლუბურ კულტურაში სოციალიზაციის განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. მაიკლ ბრეიკი (1985) სუბკულტურის ქალი წევრების შესახებ წერს, რომ ტრადიციულად, კაცებით დომინირებულ სუბკულტურებში გოგონებს პასიური როლი ჰქონდათ. 1950-იანები წლების „ტედების“ სუბკულტურაში, ქალები მონაწილეობდნენ სოციალურ აქტივობებში, თუმცა არ წარმოადგენდნენ ამ სუბკულტურის მნიშვნელოვან ნაწილს. „მოდების“ შემთხვევაში, გოგონები დაქვემდებარებულ ნაწილს წარმოადგნენ, თუმცა „მოდების“ სტილი საშუალებას აძლევდა მათ, მარტო ან ჯგუფურად შეერთებოდნენ აღნიშნულ სუბკულტურას. „ბაიკერების“ შემთხვევაში, ქალები არასდროს არღვევდნენ მათი მასკულინური სფეროს საზღვრებს, არასოდეს მართავდნენ ან ფლობდნენ მოტოციკლეტს და მუდამ მეორე თანამგზავრის როლში გამოდიოდნენ. ჰიპების სუბკულტურა, ასევე, გოგონებს ტრადიციული ფემინურობის საზღვრებში ამყოფებდა (Brake,1984). თანამედროვე კულტურის სოციოლოგები (Blum, 1966; Rust, 1969; McRobbie, 1984; Griffiths, 1988; Thornton, 1996; Gotfrit, 1988) მიიჩნევენ, რომ თანამედროვე საცეკვაო და კლუბურმა კულტურამ ქალებს „გათავისუფლება“ მოუტანა. ამ ტერმინით, ავტორები მიუთითებენ კლუბური კულტურის შიგნით ქალების გაძლიერებაზე და მათი ფუნქციის გაზრდაზე.

კვლევის პროცესში, საინტერესო იყო იმის დადგენა, სოცილიზაციის ეტაპზე რა შთაბეჭდილებები დარჩათ რესპონდენტებს კლუბებზე. კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა შეკითხვაზე: „თავდაპირველად, რა არ მოგეწონათ ყველაზე მეტად კლუბში?“, განსხვავებული პასუხები გასცეს. კაცების პასუხები უკავშირდება კლუბების ისეთ მახასითებლებს, როგორებიცაა სველი წერტილები, ნაკლები მოსასვენებელი ადგილი, კლუბში სიგარეტის მოწევის აკრძალვა და ა.შ. კვლევაში ჩართულმა ყველა ქალმა კი მსგავსი პასუხი გასცა აღნიშნულ შეკითხვას. მათი უკმაყოფილება კლუბურ კულტურაში, სოციალიზაციის პირველ პერიოდში, პირადი სივრცის დარღვევასა და კაცების მხრიდან სექსუალური შევიწროვების მცდელობებს უკავშირდებოდა. თავად

რესპონდენტების პასუხებიდან გამომდინარე, კლუბური კულტურის წევრობის განმავლობაში, მათ ისწავლეს საკუთარი პირადი სივრცის დაცვა და არასასურველი შეხებისა თუ კომუნიკაციის თავიდან არიდება.

„რაც არ მომწონდა, დისკომფორტები ხალხის მხრიდან, ეს პირადი სივრცის და საკუთარი დარღვევის მცდელობა. კლუბში პირადი სივრცის დარღვევა ჩემთვის ნიშნავს ბიჭების მხრიდან შეხებას. ჩემთვის ძალიან დიდი პრობლემა იყო, მერე იმ ადგილას ვეღარ ვჩერდებოდი და გავრბოდი, მით უმეტეს, როცა ხალხმრავლობაა და შემთხვევით ხდება, მაგაზე არ არის პრობლემა, მაგრამ აი, სპეციალურად, რომ უამრავი ხელი და ფეხი გეხება, არ მსიამოვნებს. მაგრამ სხვა გოგოებთან ერთად ვისწავლე, როგორ უნდა მივაბრუნო უკან მასეთი შემაწუხებელი ისე, რომ მეორედ მოსვლის სურვილი აღარ გაუჩნდეს“ (ნანა, 23 წლის).

მართალია, თბილისის კლუბური კულტურის ქალი წევრების შემთხვევაში, ზემოხსენებულ „გაძლიერებას“ ადგილი აქვს ქალების მიერ საკუთარი პირადი სივრცის უკეთესად დაცვის თვალსაზრისით, თუმცა, კლუბში სოციალიზაციის ეტაპზე, სუბკუტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში, ქალებს და კაცებს განსხვავებული გამოცდილებები აქვთ. რესპონდენტები - როგორც ქალები, ასევე კაცები, საუბრობენ, რომ ქალს თუ სურს თბილისის კლუბური კულტურის „ელიტის“ ნაწილი გახდეს, მას მოეთხოვება ფემინურობა და გაცხადებული სექსუალობა, ხოლო კაცების შემთხვევაში ე.წ „ელიტის“ წევრობას ნებისმიერი კაცი შეძლებს, თუ ამას მოინდომებს.

„ბიჭებისთვის, როცა ისინი კლუბში სიარულს იწყებენ, მარტივია, კარგი ტიპები გახდნენ; სულ არ სჭირდებათ ამისთვის ზედმეტი ძალისხმევა. აი, გოგოებისთვის, თითქოს, დაუწერელი წესები არსებობს, რომ ძაან სექსუალურად უნდა გამოიყურებოდეს, სულ საკუთარ სექსუალურ ცხოვრებაზე საუბრობდეს, მზად იყოს „one night stand”-ებისათვის, გადახეული კალგოტკა და გამომწვევად იქცოდეს რა“ (ნინო, 22 წლის).

„მე არ მიცდია, რაღაც მაგარი ტიპი ვყოფილიყავი, მაგრამ, ალბათ, მე როგორი ტიპიც ვარ, ვერც მოვახერხებდი. აი, გოგოები რომ არიან, ძაან თამამები და ყველა ბიჭს მაგათთან რო უნდა დროის გატარება, თან სულ ტექნოზე რომ ლაპარაკობენ და თავისუფალი სექსუალური ცხოვრება აქვთ, შეუძლიათ ეგეთი მაგარი ტიპები გახდნენ კლუბში რა“ (ანა, 26 წლის).

შეჯამების სახით შეილება ითქვას, რომ სოციალიზაციის ეტაპს დიდი მნიშვნელობა ენიჭება სუბკულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში. როგორი იქნება პირველი ვიზიტი კლუბში, მარტო თუ კლუბური კულტურის სხვა წევრებთან ერთად, გამართლდება თუ არა წინასწარი მოლოდინები კლუბთან მიმართებით და სოციალიზაციის ეტპზე რა მიზეზებით მოხდება ამა თუ იმ კლუბზე არჩევანის გაკეთება, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს კონკრეტული ადამიანის შემდგომ სტატუსს კლუბური კულტურის შიგნით. ასევე, აღსანიშნავია, რომ სოციალიზაციის პროცესი განსხვავდება სქესის მიხედვით. მართალია, ქალები გაძლიერდნენ კლუბური კულტრის შიგნით და ისწავლეს საკუთარი პირადი სივრცის დაცვა, თუმცა კლუბური კულტურის „ელიტად“ გახდომისათვის, მათ გარკვეულ სტერეოტიპებთან შესაბამისობა და გაცხადებული სექსუალობა მოეთხოვებათ.

§3.3 თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სოციალური კაპიტალი

მოცემული კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სოციალური კაპიტალის შესწავლა. პიერ ბურდიეს (1986) თანახმად, სოციალური კაპიტალის არსებობა ხაზს უსვამს არა იმას, თუ რა იცი, არამედ, ვის იცნობ. მეგობრული ურთიერთობები, კავშირები ნათესავებთან, ახლობლებთან თუ უბრალოდ ნაცნობებთან, სოციალური სტატუსის მოპოვების შესაძლებლობას იძლევა. ასევე,

სოციალური კაპიტალის ცნება გამოსადეგია სახელის, რეპუტაციის ფენომენის ახსნისთვისაც, თუ როგორ ხდები ცნობილი იმათვის, ვინც აქამდე არ გიცნობდა (Bourdieu, 1986). ამ თვალსაზრისით, საინტერესოა, რა გავლენა აქვს კლუბური კულტურის წევრების სოციალურ კაპიტალს სუბკულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში.

კვლევაში ჩართული რესპონდენტები, საკუთარ გამოცდილებაზე საუბრის დროს აღნიშნავდნენ, რომ თანამედროვე კლუბური კულტურა თბილისში წარმოადგენს სივრცეს, სადაც მარტივია გაიცნო ბევრი ადამიანი და შეიძინო ახალი მეგობრები. აღსანიშნავია, რომ კლუბური კულტურის წევრები ერთმანეთს, უმეტესად, სპონტანურად იცნობენ, მაგალითად, სიგარეტის მოწევის, ცეკვის, სხვადასხვა რიგში დგომის დროს. კლუბური კულტურის წევრების გაცნობა შესაძლებელია სოციალურ ქსელებშიც მოხდეს, გამომდინარე იქედან, რომ არსებობს სხვადასხვა „ფეისბუქ ჯგუფი“, სადაც მხოლოდ კლუბური კულტურის წარმომადგენელი ახალგაზრდები არიან გაწევრიანებული.

„მე ვმეგობრობ იმ ადამიანებთან, ვისთან ერთადაც ვცეკვავ. არიან ადამიანები, რომლებიც ცეკვის დროს გავიცანი, ან სიგარეტის მოწევის დროს გავიცანი. ცეკვავ, უცებ გახედავ მეორე ადამიანს, რომელიც შენსავით რაღაც კარგად ერთობა, ცეკვავ და უცბად მყარდება კომუნიკაცია, უცებ გაახლოვებს. არის შემთხვევები, როცა ადამიანები გამიცვნია და მერე კლუბის გარეთ გრძელდება ჩვენი ურთიერთობა. მე უცხოეთშიც ვყოფილვარ, ბერლინში კლუბებში და რომ მეგონა, აქ არავის ვიცნობ და ჩემთვის ვიცეკვებ თქო, რომ გამოვედი კლუბიდან, უკვე 5 ადამიანი მყავდა გაცნობილი და მერე ბერლინი სულ იმათთან ერთად მოვიარე, დამპატიჟეს გერმანიაში, მე ისინი საქართველოში დავპატიჟე. კლუბი, რეალური ცხოვრებისგან განსხვავებით, სოციალიზაციის და ადამიანების გაცნობის პროცესს ძალიან მარტივს ხდის“ (გაგა, 24 წლის).

კვლევის პროცესში გამოიკვეთა, რომ კლუბური კულტურის წევრები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ საკუთარ და სხვა ადამიანების სოციალურ კაპიტალს. მათთვის სოციალური

კაპიტალი წარმოადგენს კლუბური კულტურის სხვა წევრების შეფასების კრიტერიუმს. რაც უფრო მდიდარია კონკრეტული წევრის სოციალური კაპიტალი, მით უფრო მაღალია მისი სტატუსი სხვა წევრების თვალში.

„განსაკუთრებით საინტერესოა, რომ როდესაც მენეჯმენტიდან ვინმეს უახლოვდები ან ბევრ რეივერს იცნობ, მერე სხვა ადამიანები ბუნებრივად გიახლოვდებიან, ბარმენები ან უბრალოდ კლუბის წევრები, ‚ფეისკონტროლის' გარეშე გიშვებს დაცვა, ბარმენი სასმელზე გპატიჟებს, ვიღაც 'ივენთის' მოსაწვევს გაძლევს და საბოლოოდ, კაი ტიპი გამოდიხარ"(დათა, 22 წლის).

სუბკულტური კაპიტალის კონტექსტში, კლუბური კულტურის წევრების სოციალური კაპიტალი კიდევ ერთი თვალსაზრისით მნიშვნელობს. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ კლუბურ კულტურაში გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად ძალიან შეიცვალა მათი „უფერული სოციალური ცხოვრება". კერძოდ, კლუბში გაცნობილი მეგობრები ან დიჯეები მათ ე.წ. „სახლის წვეულებებსა" და „კერძო წვეულებებზე" პატიჟებენ. როგორც რესპონდენტები აღნიშნავენ, ამ „პრივილეგიის" დამსახურებას სჭირდება კლუბური კულტურის წევრობის ხანრძლივი გამოცდილება და „დიდი სანაცნობო წრე".

„მე უკვე იმდენ ადამიანს ვიცნობ და იმდენი ხანია კლუბში დავდივარ, რომ უშუალო რეივების გარდა ისეთ ივენთებსაც ვესწრები, რომლებიც ძაან დახურულია და 50- მა ადამიანმა თუ იცის ჯამში. მაგის მოსაწვევებს ის ადამიანები მაძლევენ ვინც აწყობს ან სხვა დაპატიჟებული ადამიანები. ადრე თუ მიწევდა ფიქრი სად წავიდე სად წავიდეთქო და ყელში მქონდა ამოსული ეს ბარები ახლა ვიცი, რომ ვიქენდი არ გამემაზება" (გოგა, 21 წლის).

სოციალური კაპიტალის დაგროვების შედეგად, კლუბური კულტურის წევრები შესაძლოა თავად კლუბებში იწყებდნენ მუშაობას, ან მათთვის საინტერესო

ღონისძიებების დაგეგმვის საშუალება ეძლეოდეთ (ანაზღაურების გარეშე). კერძოდ, რესპონდენტები ამბობდნენ, რომ მათ კლუბური კულტურის წევრობის განმავლობაში და სხვა წევრებთან, განსაკუთრებით კი კლუბის მენეჯმენტთან, ურთიერთობის შედეგად კლუბებში დაიწყეს მუშაობა.

„თავიდან უბრალოდ დავდიოდი კლუბში, მერე გავიცანი ადამიანები და შემომთავაზეს გარში მუშაობა, ზაფხულობით ვმუშაობ ხოლმე. ჩემ გარდა, კიდე ბევრი კლუბური კულტურის წევრი ვიცი, ვინც რაღაც პერიოდის მერე აქ დასაქმდა და მათთვის საინტერესო საქმესაც მოკიდეს ხელი“ (რეზო, 28 წლის).

„კლუბების მენეჯმენტთან მოლაპარაკების საფუძველზე, ამჟამად კლუბ ‚ხიდზე' ანაზღაურების გარეშე ვაკეთებ ქვიარ ივენთების სერიას ‘კიკი’“ (დიტო, 26 წლის).

კლუბურ კულტურაზე მსჯელობის დროს, სარა სორნტონი (1995) წერს, რომ კლუბები ერთად უყრის თავს მსგავსი გემოვნების მქონე ადამიანებს. კლუბის ორგანიზატორები ცდილობენ, გარკვეული ტიპის დიდი რაოდენობით ადამიანი ერთ კონკრეტულ ღამეს, ერთ ადგილას შეკრიბონ. აქედან გამომდინარე, მეტწილად, კლუბში მისული ხალხი წინასწარაა შერჩეული (Thonton, 1995). აქედან გამომდინარე, ბუნებრივია, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრები მარტივად ახერხებენ მათი შეხედულებისა და გემოვნების მსგავსი ადამიანების გაცნობას, ამ ურთიერთობამ კი კლუბის გარეთ, რეალურ ცხოვრებასა და სოციალურ ქსელებშიც შეიძლება ჰპოვოს გაგრძელება. კვლევაში ჩართული ახალგაზრდები ინტერვიუს პროცესში ამბობდნენ, რომ კლუბში გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად, ისინი ერთმანეთის სახლებში ან სხვა სივრცეებში იკრიბებიან და მსჯელობენ/საუბრობენ მათთვის საინტერესო და აქტუალურ თემებზე.

„კვირის დღეებში შეიძლება შევიკრიბოთ ხოლმე, სახლებში ან სადმე წყნარ ადგილებში და ჩვენთვის საინტერესო თემებზე საათების განმავლობაში ვისაუბროთ. ეს პროცესი

უფრო გვაახლოებს და ერთმანეთზე წარმოდგენები გვეზრდება, როდესაც ისინი ლაპარაკობენ და რამე ჭკვიანურს ამბობენ, მაშინვე ჩვენს თვალში კარგ ტიპებად ყალიბდებიან“ (ანი, 25 წლის).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, კლუბური კულტურის წევრები, უშუალოდ კლუბთან და ადამიანებთან ხაგრძლივი კომუნიკაციის შედეგად აგროვებენ სოციალურ კაპიტალს, რომელიც აისახება მათ სტატუსზე კლუბის შიგნით. მდიდარი სოციალური კაპიტალი კლუბური კულტურის წევრებს საშუალებას აძლევს, კლუბური კულტურის სხვა წევრებს შორის ცნობადობა მოიპოვონ, კლუბში სხვადასხვა პოზიციაზე მუშაობა დაიწყონ და საკუთარი სოციალური ცხოვრება გაამრავალფეროვნონ.

§3.4 კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალი

§3.4.1 ელექტრონული საცეკვაო მუსიკა

აღნიშნული კვლევის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალის კვლევა. როგორც თეორიულ მიმოხილვაში აღინიშნა, კულტურული კაპიტალი გულისხმობს ლეგიტიმური ცოდნის სხვადასხვა სახეს. პიერ ბუდიე (1986) კულტურულ კაპიტალში გულისხმობს პიროვნების განათლებას, ცოდნას თუ სხვადასხვა უნარ-ჩვევას. ეს განათლება და ცოდნა, ბურდიეს აზრით, ადამიანს ეხმარება, უფრო მაღალი სოციალური სტატუსი მოიპოვოს საზოგადოებაში (Bourdieu, 1986). სავარაუდოა, რომ კლუბური კულტურის შემთხვევაში, კულტურული კაპიტალი უკავშირდება კლუბისთვის დამახასიათებელ სპეციფიკური ცოდნისა და უნარ-ჩვევების მიღებას.

როი შუკერი (2005) წიგნში *„პოპულარული მუსიკა: ძირითადი თეორიები“* წერს, რომ მუსიკალური კულტურული კაპიტალი უკავშირდება ადამიან(ებ)ის მიერ ერთი კონკრეტული ჟანრის მუსიკის მოწონებას. ასეთი ადამიანები აკეთებენ ყველაფერს, რომ უფრო მეტი გაიგონ მათი საყვარელი ჟანრის შესახებ: ეცნობიან სხვადასხვა არტისტს, ჩანაწერებს, თანამედროვე „ტრენდებს" და ა.შ. ავტორის აზრით, როდესაც ადამიანებს მოსწონთ არამეინსტრიმული მუსიკალური ჟანრები, ეს გავლენას ახდენს მათ კულტურულ კაპიტალზე, რაც შემდგომში ახალგაზრდული სუბკულტურის წარმომადგენელთა ქცევითი პატერნების განმსაზღვრელი ხდება. ისინი ითვისებენ ინოვაციურ, არამეინსტრიმულ სტილს, იდენტობას, რომელიც ხდება მათი სუბკულტურული კაპიტალის შემადგენელი ნაწილი (Shuker, 2005:64).

კვლევის პროცესში, რესპონდენტები კლუბში შეძენილ უნარ-ჩვევებთან მიმართებით, გამოყოფდნენ ცოდნას ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ კლუბში პირველ ვიზიტამდე მათ უმრავლესობას არ ჰქონდა ინფორმაცია ამ ტიპის მუსიკის შესახებ, კლუბური კულტურის წევრობის პროცესში დაინტერესდნენ და გაიღრმავეს ცოდნა ამ მიმართულებით. კვლევაში ჩართული ახალგაზრდები ეცნობიან სხვადასხვა ინფორმაციას ამ ტიპის მუსიკის შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს ადამიანები არა მხოლოდ კლუბში უსმენენ ელექტრონულ საცეკვაო მუსიკას, არამედ ამ სივრცის გარეთაც - სახლში, ტრანსპორტში, ქუჩაში და ა.შ. კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდებისათვის მუსიკა წარმოადგენს მნიშველოვან ელემენტს სუბკულტურული კაპიტალის დაგროვების პროცესში. გამომდინარე იქედან, რომ მუსიკის სიღრმისეული ცოდნა კლუბის სხვა წევრების მხრიდან აღიარებასა და სტატუსის ამაღლებას უკავშირდება.

„ძალიან, 180 გრადუსით, სულ სხვა გემოვნება მაქვს. ადრე, სკოლის პერიოდში, პოპ მუსიკა მომწონდა, მერე Arctic Monkeys, Radiohead და ეგეთების პერიოდი მქონდა. ახლა, ლაივსეტები, დიჯეისეტები, სპეციალურად ვიყიდე ტელეფონი, რომ რვასაათიანი

დიჯეისეტები ჩავწერო და სადმე რომ მივდივარ, დამუღამებული მაქვს, რომელ ნაწილს უნდა ვუსმინო ხოლმე“ (ნანა, 23 წლის).

„ძირითადად, ახლა უფრო ტექნოს ვუსმენ. კლუბში რომ არ ვარ, ისედაც ვუსმენ. მანამდე ტექნოს საერთოდ არ ვუსმენდი და, ზოგადად, ტექნოს მიმდინარეობა რა იყო მუსიკაში, ეგეც არ ვიცოდი. ელექტრონულ მუსიკას უფრო ერთ ჟანრად აღვიქვამდი და ქვეჟანრები თუ ჰქონდა, ეგეც არ ვიცოდი. თა,ნ ვისაც ეს ჟანრი კარგად ესმის და მოსწონს, კაი ტიპია და ვცდილობ, დავუმეგობრდე“ (ნიკა, 24 წლის).

კვლევის პროცესში აღმოჩნდა, რომ კლუბური კულტურის წევრები ისეთ უნარ-ჩვევებსა და ცოდნას იძენენ, როგორიც არის ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შექმნა და ღონისძიებების დაგეგმვის უნარები. როგორც ზემოთ აღინიშნა, კლუბური კულტურის რამდენიმეწლიანი წევრობის შედეგად, ახალგაზრდების მუსიკალური გემოვნება შეიცვლა, შესაბამისად, გაიზარდა მათი ინტერესი ელექტრონული საცეკვაო მუსიკის მიმართ. კლუბური კულტურის წევრებისათვის იმდენად მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის მუსიკა, რომ ისინი აქტიური მსმენელობიდან „მუსიკის მკეთებელებად“ ტრანსფორმრიდებიან. როგორც რესპონდენტები ამბობდნენ, კლუბურ კულტურაში მიეცათ საშუალება, ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შექმნა ესწავლათ. ამაში მათ კლუბური კულტურის სხვა წევრები და მეგობარი დიჯეები ეხმარებოდნენ. კლუბური კულტურის წევრებისათვის ადამიანები, ვინც მუსიკას ქმნიან, განსაკუთრებული სტატუსითა და პატივისცემით სარგელობენ, გამომდინარე იქედან, რომ კლუბური კულტურის წევრებს, რომელთაც მუსიკის შექმნა დაიწყეს, სხვადასხვა წვეულებაზე იწვევენ. შესაბამისად, მუსიკის მიმართ ინტერესთან ერთად, ამ საქმის კეთების კიდევ ერთ მოტივატორად კლუბური კულტურის წევრების მხრიდან აღიარების მოლოდინიც შეიძლება მივიჩნიოთ.

„ელექტრონული მუსიკა შემიყვარდა, კლუბის გარეთაც ვუსმენ. მერე დავიწყე ამ მუსიკის კეთება მე თვითონ, დიჯეობა დავიწყე. შემიძლია საათობით ვილაპარაკო ამ თემაზე. აზრს

ვეკითხებოდი და გამოცდილებას ვიღებდი სხვა წევრებისგან ან უფრო მეტად იმ არისტებისგან, ვინც კლუბებში უკრავენ, ანუ ქართველი რეზიდენტები. მუსიკას რომ აკეთებ, კლუბში სიარული ბევრად სასიამოვნოა, ჯერ უამრავი ადამიანი გიცნობს და მერე მუსიკასაც სხვანაირად აფასებ შენ თვითონ. მე ვაპირებ, სერიოზულად გავაგრძელო მუსიკაზე მუშაობა“ (დათა, 22 წლის).

კულტურულ კაპიტალთან კავშირშია კიდევ ერთი უნარი, რომელსაც კლუბური კულტურის წევრები იძენენ - ეს არის ღონისძიებების დაგეგმვა. ახალგაზრდებს სურვილი უჩნდებათ, კლუბების გარეთაც მოაწყონ ისეთი საღამოები, რომლებიც შინაარსით ღამის კლუბებს ღონისძიებას ემსგავსება, მაგრამ იქნება კონკრეტულ სამიზნე ჯგუფზე გათვლილი. ასეთ ღონისძიებებს კლუბური კულტური წევრები ე.წ. „სახლის ივენთებს“ უწოდებენ, რომელზე დასწრებაც მხოლოდ მოსაწვევების საშუალებით არის შესაძლებელი. როგორც კვლევაში ჩართული ახალგაზრდები ამბობენ, ისინი სწავლობენ, როგორ გაუწიონ ორგანიზება ასეთ საღამოებს, შეარჩიონ ლოკაცია, მოიწვიონ სხვადასხვა შემსრულებელი თუ დამსწრე ადამიანები, დაბეჭდონ მოსაწვევები და ა.შ. „სახლის ივენთებზე“ დასწრება და მათი ორგანიზება საკმაოდ პრესტიჟულად ითვლება კლუბური კულტურის წევრებისათვის. რესპონდენტების პასუხებზე დაყრნობით, შეინიშნება ტენდეცია, რომ ბოლო 2 წლის განმავლობაში, „სახლის ივენთების“ პოპულარობა იზრდება.

„დავიწყე ივენთების კეთება. მე და ჩემმა ბიძაშვილმა, რომელიც არის 16 წლის. თავიდან ვიქირავეთ რაღაც პატარა ადგილი დიღომში და გავაკეთეთ პატარა ივენთი, სადაც თვითონ უკრავდნენ ეს ბავშვები, მართლა. და ღამის სამ საათამდე რომ იგულავეს ბაავშვებმა, ისეთი რაღაც იყო. ჩემთვის რომ გაეკეთებინათ ასეთი რაღაც, ძაან მადლობელი ვიქნებოდი. მერე მოგვეწონა და გავაგრძელეთ, უფრო დიდ მასშტაბებზე გავედით, ახლა ყველას ძაან უნდა მოხვდეს ჩვენს ივენთებზე. არტისტების დაბუქვა, ორგანიზება, უამრავი სქილი შევიძინე. ვფიქრობ, მერე ფასიც დავადოთ ჩვენს წვეულებებს, ისეთი პოპულარობით სარგებლობს“ (ნანა, 23 წლის).

§3.4.2 კლუბური კულტურისთვის დამახასიათებელი უნარ-ჩვევები და ცოდნა

ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შესახებ ინფორმაციის გარდა, კულტურული კაპიტალის თვალსაზრისით, საინტერესოა სხვა სპეციფიკური უნარ-ჩვევები, რომელთაც კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები სწავლობენ. რესპონდენტების მხრიდან ყველზე ხშირად დაფიქსირებული იყო სასმელის ან თრობის სხვა საშუალების „ზედოზირების" ქვეშ მყოფი ადამიანისთვის დახმარების აღმოჩენის უნარი. გამომდინარე იქედან, რომ კლუბებში ადამიანები ალკოჰოლურ სასმელებს სვამენ ან იღებენ ე.წ „კლუბურ ნარკოტიკს," ხშირია მათი ცუდად გახდომის ფაქტები. შესაბამისად, კლუბური კულტურის წევრებს აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაარჩინონ ადამიანი სასწრაფოს დახმარების გამოძახების გარეშე.

„ალბათ ერთი ის, რომ ზედოზირების ქვეშ მყოფი ადამიანის დახმარება. ახალი დაწყებული მქონდა კლუბში სიარული, შევედი საპირფარეშოში და ვხედავ, რომ გოგო არის გადავარდნილი, ძირს აგდია, დილაა, ბევრი ხალხი არ არის და ამ გოგოს უკან არის ბიჭი, რომელიც ტუალეტის კარზეა მიყუდებული. ანუ მაშინ ჯერ პანიკაში ჩავვარდი იმიტო, რომ არ ვიცოდი და ვერც მივხვდი, რა სჭირდათ და ნუ ისიც არ ვიცოდი, რა შეიძლებოდა გამეკეთებინა. მახსოვს, რო გამოვვარდი და ვიღაც იყო ქალი და ვუთხარი, ცუდად არიან-მეთქი. ეს ქალი შემოვიდა, ჩემზე ცოტა ასაკით დიდი იყო, მივიდა ამ გოგოსთან და კრიჭას უხსნიდა და ენის დაჭერას ცდილობდა და მე მახსოვს, რო ისეთ პანიკაში ვიყავი, საერთოდ ვერ ვხვდებოდი, რა უნდა გამეკეთებინა. ნუ ახლა ეგ თან საქართველოში პრობლემაა იმიტო, რო აი რაღაც არის ბიო მოსაწევი, რომელიც რაღაც საიტებზე იყიდება და არც იციან, რა არის. იდეაში, ქიმიურადაა დამუშავებული, რისგან მუშავდება, არავინ იცის და შეიძლება ერთი ნაპასისგანაც ადამიანი ცუდად გახდეს და მაგ მხრივ უფრო ორგანიზებული გავხდი. ვისწავლე, რო ეგრევე ლიმონი, წყალი და უნდა დაიჭირო და გვერდით გადააწვინო და რაღაცა. ვერ გეტყვი, რო კურსი გავიარე, მაგრამ პრაქტიკაში რასაც ვუყურებდი, ძირითადი რაღაცები, რა შეიძლება რო გააკეთო და რა

არა, ჰაერი მისცე, გვერდით გამოიყვანო, თუ ვინმე ცუდადაა, ეგეთი რაღაცები კი და გამომიყენებია კიდეც“ (ანა, 26 წლის).

კიდევ ერთი უნარი, რომელიც კლუბური კულტურის წევრობით შეიძინეს ახალგაზრდებმა, არის კომუნიკაბელურობა. რესპონდენტები აღნიშნავდნენ, რომ კლუბური კულტურის წევრობამდე, ზოგიერთ მათგანს სხვა ადამიანებთან კომუნიკაცია უჭირდათ. კლუბში აქტიურად სიარულის შემდეგ, ეს უნარი გამოიმუშავეს. კომუნიკაბელურობის უნარი დაკავშირებულია იმ ფაქტთან, რომ კლუბური კულტურის წევრები ყოველ პარასკევს და შაბათ-კვირას სპონტანურად თუ გამიზნულად ბევრ ადამიანს იცნობენ. ასევე, როგორც თვითონ აღნიშნავენ, მსგავს ადამაიანებთან საერთო ენის გამონახვა მარტივია და ეს უნარი ყოველდღიურ ქცევაშიც გადადის.

„სანამ კლუბში დავიწყებდი სიარულს, ოღონდ ახალი ადამაინი არ გამეცნო, მეტი არაფერი მინდოდა, დიდ უხერხულობას ვგრძნობდი ხოლმე და ამ კლუბმა ისე გამხსნა, რომ არანაირი კომუნიაკაცია აღარ მიჭირს ახლა. კლუბში ხომ უამრავი ადამიანი გავიცანი, მაგრამ კლუბს გარეთაც მარტივად ვამყარებ ურთიერთობებს, შეყვარებულიც კი გავიჩინე“ (გოგა, 21 წლის).

რესპონდენტების ნაწილმა აღნიშნა, რომ კლუბური კულტურის წევრობით მათ დაძლიეს სხვადასხვა კომპლექსი, მათ შორის ცეკვის და ახლა შეუძლიათ სხვა ადამიანებთან ერთად თავისუფლად ცეკვა. როგორც ისინი ინტერვიუების პროცესში აღნიშნავდნენ, თავდაპირველად ამ კომპლექსის დაძლევაში ღამის კლუბების დიზაინი და ინტერიერი დაეხმარათ, გამომდინარე იქედან, რომ კლუბების შიგნით უმეტესად სიბნელეა. ასევე, კვლევაში ჩართული ახალგაზრდები საუბრობდნენ იმაზე, რომ კლუბურ კულტურაში არსებული მრავალფეროვნების გავლენით, ისინი უფრო ტოლერანტულები და სოლიდარულები გახდნენ მათგან განსხვავებული ადამიანების მიმართ.

„როცა სადმე ხარ, აუცილებლად უნდა ამოიღო რაღაცები, რასაც ცხოვრებაში გამოიყენებ. თუნდაც სწავლობ იმას, როგორ შეინარჩუნო შენი პირადი სივრცე. ადამიანებთან ურთიერთობების ფორმები, როცა აკვირდები შიგნიდან როგორ ურთიერთობენ ადამიანები, შენც სწავლობ და იზრდები, თითქოს ცხოვრებას სწავლობ. მე ძალიან გავიზარდე რაც კლუბებში დავდივარ. ყველაზე მეტად მაინც ცეკვას გამოვყოფდი. ბევრი გეტყვის ალბათ ჩემნაირად, რომ კლუბი დამეხმარა დამეძლია ცეკვის კომპლექსი და ახლა სადაც მინდა და როცა მინდა ისე ვცეკვავ“ (მარი, 25 წლის).

„კი, ნამდვილად. პირველ რიგში, არის გამოცდილება კლუბური კულტურის წევრებთან ურთიერთობით. კლუბში რაღაცებს, რომ ხედავ, სხვები როგორ იქცევიან, მე ამან პიროვნულ დონეზე განმავითარა. მართალია არ ვყოფივლარ ჰომოფობი, მაგრამ რაღაც თეორიული, აბსტრაქტული ცოდნა მქონდა სექსუალური უმცირესობის წევრებზე და ა.შ. ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც რაღაცა გინახავს და რაღაცა რაც მარტო წაგიკითხავს. მე ამ სივრცემ საშუალება მომცა რეალობაში, პრაქტიკულად მენახა რომ როგორ თანაარსებობენ ეს ადამიანები ერთმანეთის გვერდით და ერთმანეთში. ეს ცოდნა ბევრ რაღაცაში მეხმარება, პრაქტიკაში, როგორც მკლევარმა დავინახო რა წერია თეორიაში და რა ხდება რეალურად. კიდე კლუბში ვისწავლე თავისუფლად და უკომპლექსოდ საუბარი ინგლისურად. კლუბური კულტურის წევრობით ინგლისური ძალიან დავხვეწე. ნაკლებად განსმჯელი გავხდი და მიმღებლური“ (გაგა, 24 წლის).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კლუბური კულტურის წევრები სხვა უნარ-ჩვევებთან და ცოდნასთან ერთად იძენენ ღონისძიებების დაგეგმვის უნარს და თავად ღამის კლუბების სივრცეში აწყობენ მათთვის საინტერესო ღონისძიებების სერიას. მაგალითად, “KiKi Nights”, რომელიც არის ქვიარ ივენთების სერია. კლუბ „ხიდის“ ტერიტორიაზე, იმართება ქვიარ არტისტებისა და მოხალისე დრაგ პერფორმერების შოუ. ვინაიდან KiKi კომერციული არ არის, შესაბამისად, არც ბილეთები იყიდება, ნებისმიერ ადამიანს, რომელიც არის ღია, თავისუფალი, იაზრებს და იზიარებს თანასწორობის იდეას (და ამავდროულად, არ არღვევს კლუბ KHIDI-ის შინაგანაწესს), შეუძლია შექმნას ივენთი KiKi.

კვლევაში ჩართული ახალგაზრდები აღნიშნავდნენ, რომ ღონისძიების დაგეგმვის შესწავლა თავის მხრივ ბევრი სხვა უნარ-ჩვევის შეძენას გულისხმობს. უფრო კონკრეტულად, ღონისძიებას დადგმვისათვის საჭიროა ცოდნა იმის შესახებ, როგორ დაითანხმო და მოიწვიო კონკრეტული შემსრულებლები, როგორ შექმნა და გაავრცელო სხვადასხვა საშუალებებით ინფორმაცია ღონისძიების შესახებ, როგორ მოაწყო ტექნიკურად შესაბამისი სივრცე, შექმნა დიზაინი და ა.შ

„კლუბი დამეხმარა იმაში, რომ ბევრი მიცნობს, ბევრს ვიცნობ, მარტივად შემიძლია კომუნიკაცია. აქედან შეიძლება დამინახეს და საინტერესო ვიყავი ამ ადამიანებისათვის, ბევრი არტისტი გავიცანი, მუსიკის შესახებ ცოდნა გამეზარდა. რაც ივენთების სერია მაქვს, მაგის მერე კიდევ უფრო მეტი რამე ვისწავლე. რეჟისორობა, შოუების დადგმა, დრეგ კულტურა, ბუქინგი, ღონისძიებების დაგეგმვა, ბარმენობა, გარდერობში მუშაობა” (დიტო, 27 წლის).

დასკვნის სახით უნდა აღინიშნოს, რომ კლუბური კულტურის შიგნით მიღებული კულტურული კაპიტალი გავლენას ახდენს ახალგაზრდების სტატუსზე კლუბის შიგნით. კლუბური კულტურის წევრების კულტურული კაპიტალის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ იგი გამოიხატება როგორც პიროვნული თვისებების განვითარებაში (სხვადასხვა კომპლექსის დაძლევა, კომუნიკაბელურობა და სხვ), ასევე სხვადასხვა სახის, ძირითადად მუსიკასთან დაკავშირებული, უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და ცოდნის მიღებაში.

§3.5 თბილისის კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი სტილი

კვლევის მიზნიდან გამომდინარე, საინტერესოა, როგორია თბილისის კლუბური კულტურის სტილი, რა ელემენტებისაგან შედგება ის და რა სიმბოლური მნიშვნელობა აქვს ამ სტილს კლუბური კულტურის წევრებისათვის. მოცემული კვლევის

ლიტერატურის მიმოხილვის ნაწილში აღწერილია მაიკლ ბრეიკის (1985) მსჯელობა სუბკულტურულ სტილთან დაკავშირებით, სადაც ის სტილის შემადგენელ მნიშვნელოვან ელემენტებს გამოყოფს. კვლევაში ჩართულმა ახალგაზრდებმა შეკითხვაზე „ახასიათებს თუ არა თბილისის კლუბურ კულტურას სტილი, რომელსაც მისი წევრები იზიარებენ?“, თითქმის მსგავსი პასუხები გასცეს. მათ პასუხებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ თბილისის კლუბურ კულტურას ახასიათებს სამივე ის ელემენტი, რომელთაც მაიკლ ბრეიკი (1985) აღწერს, კერძოდ: იმიჯი და გარეგნობა, ქცევა და მანერა, ენობრივი მახასიათებლები. გარდა ამისა, კვლევაში ჩართული ახალგაზრდებისთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მიუხედავად მსგავსებებისა თბილისის და ევროპული ქალაქების, მათ შორის ბერლინი კლუბებს შორის, თბილისის კლუბურ კულტურისთვის დამახასიათებელი სტილი არის უნიკალური და ამას „ევროპიდან ჩამოსული ახალგაზრდებიც ხვდებიან“.

პირველ რიგში, უნდა აღინიშნოს კლუბური კულტურის წევრების ჩაცმულობის სტილი, სადაც დომინანტი არის შავი ფერის სამოსი. როგორც კლუბური კულტურის წევრები ახასიათებენ, მათი სტილი არის უფრო მეტად სპორტული, რადგან კლუბში ხშირად აცვიათ სპორტული ფეხსაცმელი, შარვალი და მაისური. კლუბური კულტურის ჩაცმულობის სტილს ახასიათებს ისეთი დეტალებიც, როგორიცაა მოკლე მაისურები, მაღალყელიანი წინდები, გრძელი მუქი ფერის მოსაცმელები და სხვ. მართალია, ბოლო რამდენიმე წელია შავი ფერი არის „კლუბური კულტურის ფერი“, მაგრამ ბოლო პერიოდში შეინიშნება ახალი ტენდენცია, კერძოდ, ბრჭყვიალა და ფერადი ტანსაცმელი, რომელიც ნელ-ნელა მკვიდრდება. რესპონდენტების აზრით, ასეთი ჩაცმულობის სტილი იმდენად არის გაიგივებული კლუბურ კულტურასთან, რომ ისინი კლუბის გარეთ, ერთი შეხედვითაც ხვდებიან, „ვინ არის კლუბიდან“.

„კი, არის დამახასიათებელი. აი, პერიოდულად შეიძლება რაღაცები დაემატოს ხოლმე. აი, ცოტა სპორტული სტილი არის და გოგოების და ბიჭების დიდად არ განსხვავდება ერთმანეთისგან. რაღაც უფრო სპორტული მოსაცმელი, ჰუდი, აუცილებელი არ არის

ბრენდირებული იყოს, ადიდასის არის ხშირი. ფეხზე რაღაც ისეთი კომფორტული ფეხსაცმელი, ძირითადად ბოტასი, ნიუ ბალანსები, ისეთი რაც კომფორტულია. რატომ ვამბობ ბოტასს და ნიუ ბალანსს? იმიტომ რომ რაღაც ოლსთარის კეტები და ქუსლიანი ფეხსაცმელი მაგალითად, ნაკლებად კლუბური კულტურის მგონია, უფრო რაღაც ბოტასი და შარვალი. შარვალი შეიძლება იყოს ცოტა სლიმიც და რაღაც თავისუფალი სტილისაც. წელის ჩანთა ალბათ იმიტომ რო პრაქტიკული გამოყენება აქვს. კლუბში დიდი ჩანთით ვერ იქნები და ეს პირადი ნივთები, მობილური გაქვს, ფული, სიგარეტი და ამის ჩასადებად ეგეთი ზომა აქვს რო ესენი ჩადო“(მარია, 23 წლის).

„კი, არის. სხვათა შორის, დღეს შევამჩნიე, რომ თბილისში ბოტასების კულტურაა, სპორტული ჩაცმულობის კულტურა შემოვიდა. უკვე ადამიანებს ატყობ, რომ ერთხელ მაინც იქნება კლუბში ნამყოფი. სპორტული შარვალი, მაღალი ბოტასი, მოსაცმელი, წელის ჩანთა. ქცევაზეც ეტყობათ, სხვანაირი თავის ჭერა და დგომაც აქვთ“ (ნანა, 23 წლის).

ჩაცმულობა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდებისათვის სტილის ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. შესაძლებელია ისინი არ იზიარებდნენ კლუბური კულტურის დამახასიათებელი სტილის სხვა ელემენტებს, თუმცა ჩაცმულობის სტილი „რეივერობის“ ძირითადი მახასიათებელია.

§3.5.1 აქსესუარები და გარეგნული მახასიათებლები

ჩაცმულობის სტილთან ერთად კლუბური კულტურის წევრები საუბრობდნენ სხვადასხვა აქსესუარებსა თუ სხვა გარეგნულ მახასითებლებზე, რომელებიც მათი აზრით კლუბური კულტურისათვის არის დამახასიათებელი. თმის მოკლე სტილი, ე.წ მოკლე „ჩოლკა“ და ღია ფერებში შეღებილი თმა დიდი პოპულარობით სარგებლობს კლუბური კულტურის წევრებს შორის. ასევე, სახეზე თუ სხეულის სხვადასხვა ნაწილზე ბევრი პირსინგი და ტატუ. როგორც აღმოჩნდა, კლუბური კულტურის წევრები სხეულზე ხშირად იხატავენ

კლუბთან დაკავშირებულ თემატიკას ან, კლუბური კულტურის გავლენით, სხეულის კონკრეტულ ნაწილებს მხოლოდ შავი ფერით იფარავენ.

"კი, გარეგნობაზე ალბათ უფრო ის, რომ ძალიან ბევრს აქვს პირსინგები, ტატუები. ძაან ბევრს ახატია ბასიანის ან რომელიმე კლუბის ლოგო და ამით ხაზს უსვამს, რომ ხშირად დადის კლუბში. მაგალითად, ვინმე რომ დავინახო ქუსლებით, პირდაპირ დავცინებ მაგის გამო. მე, მაგალთად, გარდერობი მაქვს ყოველდღიური ჩასაცმელისთვის და გარდერობი მაქვს კლუბში ჩასაცმელისთვის. ამ სტილს აქვს სიმბოლური, თავისუფლების გამოხატვის დატვირთვა" (ანი, 25 წლის).

„რამდენიმე მეგობარი მყავს, რომ კლუბის ფერი ანუ შავი იმდენად მნიშვნელოვანია მათთვის, რომ ერთმა ხელი მთლიანად შავად დაიხატა და მეორემ ზურგის ნაწილი" (ანრი, 30 წლის).

§3.5.2 ქცევები და ენობრივი მახასიათებლები

სტილზე საუბრის დროს, რესპონდენტები აქცენტს აკეთებდნენ ქცევებსა და მანერებზე, რომელიც კლუბური კულტურის წევრებისათვის არის დამახასიათებელი. კერძოდ, მათი აზრით, კლუბური კულტურის წევრები იძენენ სიარულის და დგომის განსაკუთრებულ მანერას, რაზე გავლენა კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელ მუსიკის რიტმებსა თუ ცეკვის ილეთებს აქვს.

„კიდევ მნიშნველოვანია დგომა და სიარული. მართალია, ეს შეიძლება მხოლოდ კლუბური კულტურის წევრებმა შევამჩნიოთ, მაგრამ რიტმულობა და ცეკვის გავლენა იგრძნობა. აი, მეტროში რომ დგას ადამიანი, შემიძლია ვთქვა, ის კლუბში დადის თუ არ არის ნამყოფი საერთოდ. ქუჩაში სიარულზეც, სიტყვებით მართლა რთულია ავხსნა, მაგრამ მოძრობებზეც გვეტყობა, მეც ეგრე ვარ, სავარაუდოდ" (ნინო, 22 წლის).

თბილისის კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი სტილი, ასევე, მოიცავს სლენგსა და ქართული სიტყვებისათვის სხვა მნიშვნელობის მინიჭებას. კლუბური კულტურის წევრები, ერთმანეთთან კომუმუნიკაციის დროს იყენებენ როგორც ბარბარიზმებს ინგლისური ენიდან („ჰენგოვერი," „რეივი," „დენსფლორი," „ქრაუდი," „დაბუქვა" და ა.შ.), ასევე ქართულ სიტყვებს ანიჭებენ ახალ მნიშვნელობებეს. მაგალითაად: „ჩაჭერა" აღწერს სიტუაციას, როდესაც კონკრეტული შემსრულებული მსმენელს ამზადებს მუსიკის კულმინაციისთვის; „შეყვანა" ნიშნავს, შემსრულებლის მიერ კონკრეტულ მუსიკაში კულმინაციის მიღწევას; „დგომა" გულისხმომს ხარისხიან წვეულებას, რომლის პროცესშიც ყველას უნდა იცეკვოს და გაერთოს; „გახსნა" გულისხმობს თრობის რომელიმე საშუალების ეფექტს ადამიანზე.

„ჩვენ რომ ძალიან ჩვეულებრივი სიტყვები გვგონია, რომელიც როგორ შეიძლება, რომ ადამიანმა ვერ გაიგოს, რეივი იდგა თქო, რომ ვთქვი ჩემს მეგობრებში, გაეცინათ, აბა დამჯდარი ხომ არ იცეკვებდითო. არადა, ეს სიტყვები ჩვეულებრივი მოვლენაა. კლუბში რომ თქვა, აბსოლუტურად ყველა გოგო და ყველა ბიჭი გაიგებს და ადეკვატური რეაქცია ექნება, ნარკოტიკსაც ვეძახით სხვადასხვა სახელებს, მაგალითად, მდ [MDMA]" (რეზო, 28 წლის).

§3.5.3 სუბკულტურული სტილი, როგორც ჰომოლოგია და ბრიკოლაჟი

კლუბური კულტურის სტილზე საუბრის დროს, ყველაზე მნიშვნელოვანი ის ფაქტი, რომ ახალგაზრდებისათვის ამ სტილს სიმბოლური მნიშვნელობა აქვს. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, დიკ ჰებდიჯი (1979) საუბრობს სუბკულტურის სტილზე, როგორც ჰომოლოგიაზე. ის აღნიშნავს, რომ სუბკულტურის სტილის სხვადასხვა მახასიათებლების თავსებადობა, ქმნის სტილის ჰომოლოგიას, ხოლო პოლ უილისის (1978) თანახმად, ვიზუალური სტილი და მუსიკალური გემოვნება ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და

ჰომოლოგიურ მნიშვნელობას ქმნიან. კლარკის (1976) აზრით, როდესაც ობიექტები და არტეფაქტები მოთავსებულია ახალ კონტექსტში, იმ მიზნით, რათა მოხდეს ახალი მნიშვნელობების მიღება/გადმოცემა, არის ბრიკოლაჟი. ავტორის აზრით, ბირკოლაჟი აცოცხლებს ჯგუფების იდენტობას და ხელს უწყობს ჯგუფის წევრების ურთიერთაღიარებას.

უმთავრესი მნიშვნელობა, რომელსაც კლუბური სტილი ატარებს ახალგაზრდებისათვის, არის ის, რომ რაც უფრო მეტად არის კლუბური კულტურის წევრის სტილი თანხმობაში კლუბური კულტურისთვის დამახასიათებელ სტილთან, მით მეტი პატივისცემით სარგებლობს სხვა წევრების თვალში. ასევე, ახალგაზრდები საკუთარი სტილით გამოხატავენ ჯგუფთან მჭიდრო კავშირსა და მიკუთვნებულობას. მიუხედავად იმისა, თუ რა აცვიათ ყოველდღიურ ცხოვრებაში, კლუბში ყოველთვის ისეთი ტიპის სამოსს ან აქსესუარებს იყენებენ, რომელიც კლუბური კულტურისთვის არის ნიშანდობლივი. ასევე, კლუბური კულტურის წევრები სტილის მეშვეობით საკუთარ იდენტობას გამოხატავენ.

რესპონდენტების პასუხებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ კლუბური კულტურის წევრების სტილი (გარეგნობა, მანერები, ენა) და მათი მუსიკალური გემოვნება, ნამდვილად ქმნიან ჰომოლოგიურ მნიშვნელობას, რომელიც რამდენიმე ასპექტით არის სიმბოლური დატვირთვის მატარებელი კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდებისათვის. როგორც ისინი განმარტავენ, მათი კლუბური სტილი თანხვედრაშია ღამის კლუბებისა და ელექტრონული საცეკვაო მუსიკის კონცეფციასთან, რაც, საერთო ჯამში, კლუბური კულტურის წევრებისათვის ქმნის „რეალობისაგან მოწყვეტის“ შეგრძნებას, „მუსიკაში ჩაკარგვისა“ და „სხვა სამყაროში გადასვლის“ განცდას.

კლუბური კულტურის წევრების სტილი შეგვიძლია ასევე განვიხილოთ, როგორც ბრიკოლაჟი. კვლევაში ჩართული ახალგაზრდები აცხადებდნენ, რომ თბილისის კლუბური კულტურის სტილი არის ზოგადად კლასიკური კლუბური კულტურის

სტილის „გადმოქართულებული“ ვარიანტი. ისინი, ასევე აცხადებდნენ, რომ თბილისის კლუბურ კულტურაში „ქართული ელემენტები იგრძნობა“ როგორც კლუბური კულტურის წევრების სტილში, ასევე კლუბების დიზაინში, მუსიკასა და ცეკვაში.

„სტილზე რავიცი, გავაქართულეთ კლუბები. ჩაცმულობის სტილი განსხვავდება სხვა ქვეყნების კლუბური კულტურის წევრების ჩაცმის სტილისგან. თვითონაც რომ ჩამოდიან უცხოელები ამბობენ. შავი და მუქი ფერები იმათთანაც არის აქტუალური, თუმცა აქ ახალგაზრდებს ხშირად ისეთი წარწერები აქვთ მაისურებზე აი დიდი თეთრი ასოებით რომ აწერია ხოლმე ქართული სიტყვები. ეგ ტრენდულია ამ ბოლო დროს კლუბში. კიდე საინტერესოა მუსიკაც. რამდენი თანამდროვე თუ ტრადიციული ქართული მუსიკა გაუმიქსავთ დიჯეებს და მერე პოპულარული გამხდარა. ცეკვის სტილზეც, რაღაც იგრძნობა, რომ ცეკვა ჩვენი ტრადიციაა“

§3.6 კლუბური კულტურის წევრების სიმბოლური კაპიტალი

მოცემული კვლევის ერთ-ერთი ამოცანას წარმოადგენდა კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სიმბოლური კაპიტალის შესწავლა. როგორც კვლევის თეორიულ ნაწილში აღინიშნა, სიმბოლური კაპიტალი დაკავშირებულია საჯარო აღიარებასთან, ცნობადობასთან, პრესტიჟთან და ავტორიტეტთან (Bourdie, 1986). რესპონდენტების პასუხებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ითქვას, რომ კლუბური კულტურის წევრები, ამ კულტურის სხვა წევრებისა თუ გარეშე ადამიანების თვალში აგროვებენ სიმბოლურ კაპიტალს, რომელიც სხვადასხვა სახით/ფორმით გამოიხატება.

პირველ რიგში, ახალგაზრდების სიმბოლური კაპიტალი უკავშირდება ოჯახის წევრების მხრიდან მათ მიმართ და, ზოგადად, კლუბური კულტურისადმი დამოკიდებულებების პოზიტიურ ცვლილებას. რესპონდენტები აღნიშნავენ, რომ თავდაპირველად მშობლებს

და ახლობლებლს ჰქონდა „მკაცრი“ რეაქცია ამ ფაქტთან დაკავშირებით, თუმცა, დროის გასვლასთან ერთად, ოჯახის წევრები/ახლობლები რწმუნდებოდნენ, რომ „იქ სიარულში საშიში არაფერი იყო.“ აქედან გამომდინარე, გაიზარდა ახალგაზრდების თავისუფლების ხარისხი და შემცირდა მშობლების მხრიდან კონტროლის მექანიზმი. ასევე, გამომდინარე იქედან, რომ კლუბში სიარული გარკვეულ ფინანსურ ხარჯებთან არის დაკავშირებული, ახალგაზრდებს უწევთ, საკუთარი შემოსავლის წყაროზე დაიწყონ ფიქრი, რათა არ იყვნენ მშობლებზე დამოკიდებულები და ამით მოხდეს ფინანსური თუ სხვა სახის კონტროლის შემცირება ოჯახის წევრების მხრიდან. ახალგაზრდები, ვისაც დიდი სოციალური კაპიტალი აქვს კლუბში, ახერხებს მუშაობის დაწყებას სხვადასხვა პოზიციაზე. სხვები კი კლუბის გარეთ ცდილობენ სამსახურის პოვნას, რათა ფინანსურად დამოუკიდებლები გახდნენ.

„თავიდან, როცა დავიწყე კლუბში სიარული, დედა მეუბნებოდა, რომ იცი, ნუ მოდიხარ დილით შვიდზე, მოდი უფრო ადრე, მეშინია. მერე, როდესაც დავჯექი და ავუხსენი, რა მნიშვნელობა აქვს, შვიდზე მოვალ თუ ხუთზე, თან ხედავდა, რომ არაფერი მიშავდებოდა იქ სიარულით, პირიქით, ბედნიერი და ლაღი ვბრუნდებოდი სახლში, მიხვდა. შესაბამისად, ახლა ხანდახან თვითონ მეკითხება, დღეს პარასკევია და არ მიდიხარო?“ (ნანა, 23 წლის).

„ისედაც შეცვლილია მათი დამოკიდებულება. ამდენი ხანია, რომ დავდივარ და იციან, რამხელა მნიშვნელობა აქვს კლუბს ჩემთვის. კლუბში რომ წახვიდე, ერთი 100-200 ლარი გჭირდება, კარგად რომ გაერთო. ეს ფული რომ სულ მშობლებს თხოვო, არ გამოდის, ამიტო კლუბში ხშირად და ჩემ გემოზე რომ ვიარო, დავიწყე მუშაობა. ახლა ჩემი შემოსავალი მაქვს და მშობლები იძახიან, კლუბი თუ დაგაწყებინებდა მუშაობას, არ გვეგონაო“(ნიკა, 24 წლის).

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სტატუსი და ცნობადობა იზრდება სხვა წევრების თვალშიც. კერძოდ, ახალგაზრდები,

რომლებიც რამდენიმე წელია პერმანენტულად დადიან ღამის კლუბებში, სხვა წევრების თვალში ცნობადები ხდებიან, ეს კი მათ პრესტიჟსა და სტატუსზე პოზიტიურად აისახება. რესპონდენტების პასუხებზე დაყრნობით, ირკვევა, რომ კლუბური კულტურის წევრებს სხვადასხვა სტატუსი შეიძლება ჰქონდეთ ერთმანეთის თვალში; მაგალითად, „კარგად მოცეკვავის“ სტატუსი, „ელექტრონულ საცეკვაო მუსიკაში ყველაზე კარგად გარკვეულის“ სტატუსი, „კლუბის მენეჯმენტთან და სტაფთან დაახლოებულის“ სტატუსი, „ყველაზე გემოვნებიანის“ სტატუსი, „გამორჩეული სტილის მქონეს“ სტატუსი და „კარგი მუსიკის შემქმნელის“ სტატუსი.

„კი, სულ სხვანაირად გიცნობენ ადამიანები, ხშირად როცა ხვდები ადამიანებს, სხვანაირი შიდა ურთიერთობები ვითარდება, როგორიც მარტო კლუბში შეიძლება განვითარდეს. აი მაგალითად, აქ რომ მოვდიოდი ვიღაც ბიჭმა ჩამიარა და უცებ მეძახის კარგად ცეკვავო. სხვანაირად გიცნობს ხალხი და ეს ურთიერთობებიც მერე ვითარდება. შენი სტატუსი იზრდება, ვიღაცა მაგარი მოცეკვავეა, ვიღაცა მაგარი მსმელი და რავიცი ასეთი რაღაცები არის კი. ვიღაცები გელიან, უხარიათ შენი ნახვა და მათი დამოკიდებულება პოზიტიურისაკენ იცვლება” (თორნიკე, 24 წლის).

„მოსულან ხოლმე და უთქვამთ ვაიმე ეს სად იყო რაღაც, ეს რა მაგარი გაცვია, სასიამოვნოა, როცა შენი სტილი სხვა წევრების აღნიშვნის ღირსი ხდება და მერე სულ გინდა ეგ მოლოდინი არ გაამტყუვნო და კარგად გეცვას სულ“ (ანი, 25 წლის).

სხვადასხვა სტატუსის საფუძველზე ახალგაზრდების ცნობადობა მათთვის საკმაოდ მომგებიანია, რადგან ხშირად ჩუქნიან კლუბის მოსაწვევებს თუ ბილეთებს, ბარში უფასოდ ემსახურებიან, ასევე, მათთვის ე.წ. „ფეისკონტროლის“ გავლა უფრო მარტივია, რადგან დაცვიდან დაწყებული, დიჯეებით დასრულებული, მათ ყველა იცნობს.

„ძალიან შეიცვალა. მე არ მჩხრეკენ, მე დალევა რომ მინდა თამამად ვსვამ უფასოდ და ბევრს, ბილეთი სულ უფასოდ მაქვს. მე შემიძლია მეც შევიყვანო უფასოდ ადამიანი და ამის გამო ბევრი ცდილობს დამიახლოვდეს, დამიმეგობრდეს. პარასკევობით ივენთის წინ ჩემს ფეისბუქზე ბოლო ერთ საათში 12 საათმდე ყოველთვის ვიღაცა მწერს, რომ ხომ არ შემიძლია უფასოდ შევიყვანო. მერე მადლიერებას ბევრი ფორმით გამოიხატება მათი მხრიდან, ან სასმელზე დაგპატიჟოს ან რამე წვეულებაზე. მე ეს პირადად ძალიან მომწონს და ეს სტატუსი განსაკუთრებით“ (გაგა, 24 წლის).

კლუბური კულტურის წევრების სიმბოლური კაპიტალი დაკავშირებულია როგორც ოჯახის წევრების მხრიდან კონტროლის შემცირებასთან, ასევე კლუბური კულტურის სხვა წევრების მხრიდან აღიარებასთან. აღსანიშნავია, რომ კლუბური კულტურის წევრების სხვა ახალგაზრდების თვალში, რომელთაც გაუგიათ კლუბი რა არის ან აპირებენ აქტიურად დაიწყონ სიარული, განსაკუთრებული სტატუსი და პრესტიჟი გააჩნიათ. კლუბური კულტურის წევრებს სხვადასხვა სოციალურ ქსელში იმეგობრებენ, რჩევებსა და აზრებს ეკითხებიან პირად გამოცდილებაზე.

„იმდენი ახალი ადამიანი მამატებს ხოლმე, მეკითხებიან, რომელი დჯ-ის სეტზე წავიდეთ, რომელია უკეთესი, რა ჩავიცვათ, რომელ საათზე ჯობია მოსვლა და ასეთი დეტალები აინტერესებთ. ჰგონიათ და მართლაც ასეა, რომ რადგან დიდი ხანია დავდივარ, ყველა ასეთი დეტალი ვიცი, მე პირდად მომწონს ეს, რაღაც პოპულარობა თუ რაც ქვია“ (ნინო, 22 წლის).

„კი, არის. აი, მაგალითად, სამეგრელოში წავედი ერთხელ, ვმუშაობდი და ეს ორი კვირა უნდა გვეცხოვრა, ვისთან ერთადაც ვმუშაობდი, იმის მეგობრის სახლში. რო ჩავედით, ძალიან დიდი სუფრა იყო ჩვენს მასპინძელ ოჯახში და ბევრი ხალხი იყო ძალიან, სულ ახალგაზრდები, ამათი საერთო მეგობრები, მე ვისთანაც ჩავედი. რომ მივედი უცხო გარემოში, წყნარად ჩემთვის ვზივარ და მერე ცოტა ხანში, ამათ რომ გაიგეს, ისეთი ტიპები

იყვნენ, თბილისში რომ ცხოვრობენ და ცოტა ხნით ზაფხულში იყვნენ ჩასულები, რო გაიგეს ბასიანზე ვმუშაობ, აღმოჩნდა, რომ ეს ტიპები ხშირად დადიან ან თბილისში ხშირად ჩამოდიან, რო ბასიანზე წავიდნენ და ცოტა ხანი ეს ტიპები, ყველა ჩემს გარშემო იყო და მაგაზე მელაპარაკებოდნენ“ (მარია, 23 წლის).

კვლევაში ჩართული ახალგაზრდები ფიქრობენ, რომ კლუბური კულტურის წევრები იმ ადამიანებისგან განსხვავდებიან, ვინც კლუბში არ დადის, მათ შორის მსოფლმხედველობითა და ღირებულებათა სისტემით. კერძოდ, ისინი ფიქრობენ, რომ კლუბებისთვის დამახასიათებელი მრავალფეროვანი გარემოს და სხვადასხვა ადამიანთან ურთიერთობების გავლენით, ახალგაზრდები უფრო სოლიდარულები, ტოლერანტულები ხდებიან. ასევე, ისინი თავისუფალნი არიან სხვადასხვა ფობიისგან, ნაკლებად აგრესიულები თუ სექსისტები არიან. ასეთი წარმოდგენა კლუბური კულტურის წევრებზე, რომელსაც საკუთარ თავზეც ავრცელებენ, იმაზე მიუთითებს, რომ ამ კულტურის წევრობა პრესტიჟულია, რადგან კლუბურ კულტურაში მისი წევრები „უკეთეს ტიპებად“ ითვლებიან, ვიდრე არაწევრი ახალგაზრდები.

„კი, ასე მგონია, რომ კი. არის სხვაობა, აქ აგრესია, გაოცება, შეშფოთება ნაკლებადაა და კლუბში რომ მოდიხარ, უნდა იყო აგრესიისაგან დაცლილი. ეს კი ბევრს კლუბის გარეთაც მიყვება, ფესბუქის კომენტარებშიც ატყობ. მაგალითად, 17 მაისის ნიუსებზე. აი, ჩემი კლასელები, რომლებიც ძალიან ჰომოფობები იყვნენ და კლუბში დაიწყეს სიარული, ნამდვილად აღარ აკეთებენ ჰომოფობიურ განცხადებებს და ჰორუმებზე დადიან, რა ვიცი“ (ანრი, 30 წლის).

„ძალიან ბევრი იცვლება. ჩემი წარმოდგენებიც და შეხედულებებიც დიდწილად შეიცვალა. გართობის გარდა ბევრ რაღაცას სწავლობ. ცხოვრებაში როგორ გაუმკლავდე პრობლემებს, როგორ დაიცალო, როგორ გაექცე რეალობას, როგორ დაკარგო შენი თავი. ყოველდღიურობაში ჩვენ ერთმანეთს ყოველთვის რაღაც იარლიყს ვარტყამთ, გვაქვს სტერეოტიპები და წარმოდგენები. კლუბში როცა ხარ, რაღაცნაირად დაკავშირებული

ხდები სხვა ადამიანებან, როცა ერთად იწყებთ ცეკვას, თითოქს ერთად იწყებთ ფიქრსაც. ყველანაირი ტიპის ადამიანები ერთნაირად იწყებენ ფიქრს და ქრება განსხვავებები. თუნდაც განსხვავებული სექსუალური ორიენტაციის ან თუნდაც სქესებს შორისაც კი ქრება განსხვავებები. ჰომოფობები და არაჰომოფობები ერთად როცა ცეკვავენ, კლუბიდან ნაკლებად განმსჯელები გამოდიან და სამყაროზე უფრო ჰუმანური წარმოდგენა უყალიბდებათ" (მარი, 25 წლის).

შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ კლუბური კულტურის წევრები ამ კულტურაში აგროვებენ სიმბოლურ კაპიტალს, რომელიც მეტი თავისუფლებით/დამოუკიდებლობით და ოჯახის წევრების/ახლობლების მხირდან კონტროლის შემცირებით გამოიხატება; ასევე, კლუბური კულტურის სხვა წევრებისა და სხვა ახალგაზრდების თვალში - მათი ცნობადობის, პრესტიჟისა და სტატუსის ზრდით.

§3.7 კლუბის ფუნქცია კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდებისათვის

კვლევის პროცესში, რესპონდენტებმა უპასუხეს შეკითხვას, თუ რა ფუნქციას ატარებს კლუბი მათთვის და ასევე, რატომ ამჯობინებენ კლუბს გართობის სხვა ადგილებს. როგორც აღმოჩნდა, კლუბი ახალგაზრდებისათვის განტვირთვის, სოციალიზაციისა და სტრესისაგან გათავისუფლების ფუნქციასთან ერთად, რეალობისაგან მოწყვეტისა და „გასაქცევი ადგილის" ფუნქციას ატარებს. თითქმის ყველა რესპონდენტმა აღნიშნა, რომ კლუბი - ეს არის ადგილი, რომელიც თავისი დიზაინით და მუსიკით, ალტერნატიულ სივრცეს წარმოადგენს, სადაც შეუძლიათ საკუთარი თავი ბოლომდე, თავისუფლად გამოხატონ და ყოველდღიურ რუტინას „გაექცნენ".

„ფუნქცია არის განტვირთვა, ყველაფრისგან მოშორება, ემოციებისგან დაცლა, მთელი კვირის ნამუშევარი დაღლილობის მოხსნა. მაგრამ ყველაზე მთავარი არის კლუბში როცა

ხარ, თითქოს რაღაც ხომალდში ხარ, რომელიც უსასრულობისაკენ მიფრინავ, დედამიწისაგან შორს, რეალობისაგან შორს. ასევე, ბრაზის და სხვა ნეგატივისაგან დაცლა. ასეთნაირად დაიცალო ყველაფრისგან, დილით მიხვიდე სახლში და გააგრძელო ახალი კვირა მომავალი პარასკევის და შაბათის იმედით. აი რამდენჯერ ყოფილა რომ 12 საათზე მივსულვარ კლუბში, დილის რვამდე გავჩერებულვარ, ისე რომ ალკოჰოლიც კი არ მიმიღია და ეს პერიოდი სულ მიცეკვია. მთავარი ფუნქცია კიდევ არის, რომ მე კლუბში ცეკვით გამოვხატავ თავისუფლებას, ეს არის თავისუფლების აქტი. საკუთარ თავთან ბრძოლა და თუნდაც კომპლექსებისაგან გათავისუფლებაა" (დიტო, 27 წლის).

რესპონდენტები საუბრობდნენ იმაზეც, რომ კლუბი, სხვა ადგილებისგან განსხვავებით, გართობის უკეთეს საშუალებას იძლევა. ასევე, ფაქტი, რომ რომ ადამიანები ერთმანეთს არ განსჯიან. ყველაზე მთავარი, მათი აზრით, ის არის, რომ კლუბური კულტურის წევრობა საშუალებას აძლევს, თავად მიიღონ მონაწილეობა კლუბური კულტურის შექმნაში.

"ჯერ მთლიანად ჩამოყალიბებული არ არის კლუბური კულტურა საქართველოში, კიდევ ბევრი რამ უნდა განვითარდეს. მაგრამ ის შეგრძნება, რომ მეც ამ კულტურის შექმნაში ჩემი წვლილი შემაქვს, უდიდესი მოტივატორია ჩემთვის. ჩვენთან, კლუბური კულტურის წევრებთან ერთად იზრდება კლუბური კულტურა და იხვეწება თანდათან" (ანა, 26 წლის).

თავი 4. დასკვნა

კვლევის მიზანს წარმოადგენდა თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის კვლევა. დასახული მიზნის მისაღწევად გამოყენებულ იქნა თვისებრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, სიღრმისეული ინტერვიუ. კვლევაში მონაწილეობა მიიღო 15-მა ახალგაზრდამ, რომლებიც კლუბური კულტურის წევრად მოიაზრებენ საკუთარ თავს.

როგორც თეორიულ მიმოხილვაში აღინიშნა, სარა სორნტონი (1995) სუბკულტურულ კაპიტალს განსაზღვრავს, როგორც ერთგვარ საშუალებას, რომელიც თავის მფლობელს ანიჭებს სტატუსს შესაბამისი მაყურებლის თვალში. სუბკულტურული კაპიტალი უკავშირდება ახალგაზრდების მიერ ზრდასრულობის მიღწევის განცდას, სოციალური რეალობისადმი და კლასისადმი წინააღმდეგობის გაწევას და ასევე მეინისტრიმისაგან თავის გამიჯვნას (Thonrton,1995). შეიძლება ითქვას, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალზე გავლენას ახდენს მოდერნული თუ პოსტმოდერნული სუბკულტურისათვის დამახასიათებელი ის ნიშნები, რომლებიც თბილისის კლუბურ კულტურას ახასიათებს; ასევე, ახალგაზრდების სოციალური, კულტურული და სიმბოლური კაპიტალი.

პირველ რიგში, უნდა შეჯამდეს თბილისის კლუბური კულტურის მახასიათებლები. მიღებულ შედეგებზე დაყრდნობით, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ თბილისის კლუბური კულტურა, მაგლტონის (2002) კლასიფიკაციით, ხასიათდება როგორც მოდერნული, ასევე პოსტმოდერნული სუბკულტურის ნიშნებით. კერძოდ, მოდერნული ნიშნებიდან მკაფიოა სტილის ჰომოგენურობა, პოლიტიკური წინააღმდეგობის გამოხატვა და მედიის მიმართ ანტიპათია. რაც შეეხება პოსტმოდერნული სუბკულტურის ნიშნებს, თბილისის კლუბური კულტურის შემთხვევაში ისინი გამოიხატება იდენტობის ფრაგმენტაციით და აქცენტით მრავალმხრივი სტილისტური იდენტობაზე, სტილსა და იმიჯზე აქცენტით, სუბკულტურასთან მიჯაჭვულობის დაბალი ხარისხით,

სუბკულტურის ბუნდოვანი საზღვრებით, სუბკულტურის წევრობის მოკლევადიანი განცდით, მეტი მობილობითა და აუთენტურობის შესახებ აზრის ცვლილებით. კლუბური კულტურის ჩამოთვლილი მახასიათებლები კავშირშია კლუბური კულტურის წევრი ახლგაზრდების მიერ კულტურული, სოციალური თუ სიმბოლური კაპიტალის დაგროვებასთან, რაც, საბოლოო ჯამში, ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალად იქცევა.

კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურული კაპიტალის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კლუბში პირველადი სოციალიზაცია. პირველი ვიზიტი და ინტერაქცია კლუბური კულტურის წევრებთან, წინასწარი მოლოდინების გამართლება/არგამართლება, ასევე, კონკრეტულ კლუბზე თუ კლუბებზე არჩევანის გაკეთება მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალს. უნდა აღინიშნოს, რომ თბილისის კლუბებში სოციალიზაციის პროცესი სქესის ნიშნით განსხვავებულია. კლუბური კულტურის „ელიტად“ გახდომისათვის, ქალებს ფემინურობა და გაცხადებული სექსუალური ცხოვრება მოეთხოვებათ.

კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები ამ კულტურაში ხანგრძლივი წევრობის შედეგად აგროვებენ სოციალურ კაპიტალს. ახალგაზრდები, რომელთაც დიდი სოციალური კაპიტალი აქვთ, იცნობენ ბევრ ადამიანს, კლუბური კულტურის სხვა წევრებს თუ კლუბებში დასაქმებულ ადამიანებს, განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობენ. სოციალური კაპიტალი კლუბური კულტურის წევრებს საშუალებას აძლევს, უფრო ცნობადები გახდნენ კლუბური კულტურის სხვა წევრებსა და დასაქმებულებს შორის, სხვადასხვა პოზიციაზე დასაქმდნენ კლუბში და ჰქონდეთ უფრო მეტი სოციალური კავშირები.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი მიგნება, რომელიც აღნიშნული კვლევის ფარგლებში გაკეთდა, არის კლუბური კულტურის წევრების მიერ შეძენილი კულტურული კაპიტალის სპეციფიკა. აღნიშნული გამოიხატება კლუბური კულტურის წევრების მიერ

რიგი პიროვნული თვისებების განვითარებასა და სხვადასხვა უნარ-ჩვევისა თუ ცოდნის შეძენაში. უფრო კონკრეტულად, კლუბური კულტურის წევრები გადალახავენ სხვადასხვა კომპლექსს, მათ შორის ცეკვის, კომუნიკაციის და ა.შ. ასევე, ახალგაზრდები იძენენ კლუბურ კულტურასთან დაკავშირებულ უნარ-ჩვევებსა და მუსიკასთან დაკავშირებულ ცოდნას. რაც უფრო თავისუფლად იქცევა ახალგაზრდა კლუბში და „უკომპლექსოა“, რაც უფრო მეტი ცოდნა აქვს ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შესახებ, მით უფრო მაღალია მისი სტატუსი კლუბური კულტურის შიგნით და მის გარეთაც.

დასკვნის სახით ასევე შეიძლება ითქვას, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სტილი მათი სუბკულტურული კაპიტალის შემადგენელი ნაწილია. ახალგაზრდების სტილი მოიცავს ბრეიკის (1985) მიერ დასახელებულ სამივე ელემენტს: გარეგნულ მახასიათებლებს, მოძრაობას / მანერებს და ასევე ენობრივ მახასიათებლებს. კლუბური კულტურის სტილის მორგებით, ახალგაზრდები ჯგუფთან საკუთარ მიკუთვნებულობას გამოხატავენ და, ამასთან, საკუთარ თავს საზოგადოების დანარჩენი ნაწილისაგან მიჯნავენ. ახალგაზრდები, რომლებიც ზედმიწევნით „კლუბურ სტილზე“ იცვამენ, უფრო მეტი ნდობით და პატივისცემით სარგებლობენ კლუბური კულტურის წევრების თვალში და საკუთარ თავს იმ ადამიანებისაგანაც გამოარჩევენ, ვინც კლუბში არ დადის. კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ასევე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კლუბური კულტურის წევრების სტილი და მათი მუსიკალური გემოვნება, ქმნიან ჰომოლოგიურ მნიშვნელობას. კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელი სტილი თანხვედრაშია ღამის კლუბებისა და ელექტრონული საცეკვაო მუსიკის კონცეფციასთან. ეს ყველაფერი კი კლუბური კულტურის წევრებისათვის ქმნის ერთიანობის და ჯგუფურობის შეგრძნებას. ასევე, კლუბური კულტურის არაწევრი საზოგადოებისაგან თავის გამიჯვნისა და რეალობისაგან მოწყვეტის საშუალებას. თბილისის კლუბური კულტურის სტილი ასევე წარმოადგენს ბრიკოლაჟს, გამომდინარე იქედან, რომ თბილისის კლუბური კულტურის სტილი შეიძლება დახასიათდეს, როგორც სხვადასხვა ქართული ელემენტით გაჯერებულ კლასიკური კლუბური კულტურის სტილი. „გადმოქართულება“ იგრძნობა, როგორც ჩაცმულობაში, ქცევებსა და ენობრივ

მახასიათებლებში, ასევე ელექტრონულ საცეკვაო მუსიკაში, ცეკვასა და სხვადასხვა კლუბის დიზაინში.

თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდები სიმბოლურ კაპიტალსაც აგროვებენ. ახალგაზრდების სიმბოლური კაპიტალი გამოიხატება მეტი თავისუფლებითა და დამოუკიდებლობით, მათ შორის ფინანსური დამოუკიდებლობის მოპოვებით და ოჯახის წევრების/ახლობლების მხრიდან კონტროლის მექანიზმის შემცირებით. ამას გარდა, კლუბური კულტურის დანარჩენი წევრებისა და სხვა ახალგაზრდების თვალში, კლუბში მოსიარულე ახალგაზრდების ცნობადობა, პრესტიჟი და სტატუსი იზრდება. სიმბოლური კაპიტალის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია კლუბური კულტურის წევრების გამიჯვნა მეინისტრიმისგან, ანუ იმ ადამიანებისაგან, ვინც კლუბში არ დადის. ამ შემთხვევაში, გამიჯვნა გამოიხატება იმაში, რომ კვლევაში ჩართული ახალგაზრდების აზრით, კლუბური კულტურის სხვა წევრების თითქმის სრული უმრავლესობა არის უფრო მეტად სოლიდარული, ტოლერანტული, სხვადასხვა ფობიისგან თავისუფალი, ვიდრე დანარჩენი საზოგადოება.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ კლუბური კულტურის წევრებისთვის კლუბები სხვადასხვა ფუნქციას ატარებს, მათ შორის დასვენების, თავისუფალი დროის ტარების, სოციალიზაციის ფუნქციას. რაც ყველა რესპონდენტს აერთიანებს, არის კლუბისთვის ალტერნატიული სივრცის ფუნქციის მინიჭება, სადაც მის წევრებს საშუალება აქვთ, ბოლომდე მოწყდნენ რეალობას თუ ყოველდღიურ რუტინას.

საბოლოო ჯამში, უნდა ითქვას, რომ თბილისის კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სუბკულტურულ კაპიტალზე გავლენას აქვს, როგორც ახალგაზრდების სოციალურ, კულტურულ და სიმბოლურ კაპიტალს, ასევე კლუბურ კულტურაში სოციალიზაციის ეტაპებს, კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელ სტილს და კლუბების ფუნქციას ამ კულტურის წევრი ახალგაზრდებისთვის.

გამოყენებული ლიტერატურის სია:

კიკონიშვილი, გ. (2019, თებერვალი 22). ხმაური სისტემის წინააღმდეგ. *ინდიგო*. ბოლო წვდომა 15.04. 2019: http://indigo.com.ge/articles/people/xmauri-sistemis-cinaagmdeg

თეთრი ხმაურის მოძრაობა - ვიდეო მანიფესტი[ვიდეო დოკუმენტი]. (2015,10 ნოემბერი). ბოლო წვდომა 2019, 15 მაისი : https://www.youtube.com/watch?v=N_emYPI_bF4

Boo, H. (2017, ივნისი 19). Is This Georgian Club the New Berghain? *VICE*. ბოლო წვდომა 31.03. 2019 : https://www.vice.com/en_uk/article/j5xvqb/bassiani-nightclub-georgia-tbilisi-lgbt-new-berghain

Blum, L.H. (1966). *The disqoteque and the phenomenon of alone-togetherness: A study of the young person's response to the Frug and comparable current dances.* Adolescence 1.

Bourdieu, P. (1984). *Distinction A Social Critique Of The Judgement Of Taste*. ხელმისაწვდომია: https://monoskop.org/images/e/e0/Pierre_Bourdieu_Distinction_A_Social_Critique_of_the_Judgement_of_Taste_1984.pdf

Bourdieu, P. (1986). *The forms of capital. In A Richardson, J., Handbook of Theory and Research for the Sociology of Education* (15 -30). ხელმისაწვდომია: http://home.iitk.ac.in/~amman/soc748/bourdieu_forms_of_capital.pdf

Brake, M. (1985). *Comparative Youth Culture The Sociology of Youth Cultures and Youth Subcultures in America, Britain and Canada. London.* doi: https://doi.org/10.4324/9780203408940

Carter, A.(1967). *Notes for a Theory of Sixties Style*. New Society.

Clarke, J. (1976). *Style. In A. Hall, S., & Jefferson, T. (Eds.), Resistance Through Rituals Youth subcultures in post-war Britain* (175-194). ხელმისაწვდომია: http://sgpwe.izt.uam.mx/pages/egt/Cursos/SeminarioTNC/ResistanceThroughRituals.pdf

Collin, M. (2018, მაისი 14). Georgian techno fans and extremists clash in Tbilisi in fight for club culture. *The Guardian*. ბოლო წვდომა 30. 03. 2019. ხელმისაწვდომია: https://www.theguardian.com/music/2018/may/14/georgian-techno-fans-extremists-clash-tbilisi-fight-club-culture

Cohen, P. (1972). *Sub-cultural Conflict and Working Class Community*. Centre for Contemporary Cultural Studies.

Downes, D. (1966). The Concept Of The Deliquent Subculture. In *The Delinquent Solution (Routledge Revivals) A Study in Subcultural Theory*. doi: https://doi.org/10.4324/9780203763339

Garnham, N., & Williams, R. (1986) .Pierre Bourdieu and the Sociology of Culture: An Intorduction, in R. Collins, J. Curran, N. Garnham, P. Scannell, P. Schlesinger and C. Sparks (eds.*), Media, Culture and Society: A Critical Reader, London*: Sage,. 116-130.

Gray, C. (2019, მაისი 29). At This Techno Club, the Party Is Political. *The New York Times*. ბოლო წვდომა 25.04.2019 : https://www.nytimes.com/2019/05/29/arts/music/bassiani-tbilisi-georgia.html

Gotfrit, L., (1988). *Women dancing back: Disruption and the politics of pleasure.* Journal of Education 170/3.

Griffiths, V. (1988). S*tepping out: The importance of dancing for young women. Relative Freedoms: Women and Leisure.* Open University Press, London

Hebdige, D., (1979). *Subculture, The Meaning Of Style.* ხელმისაწვდომია: http://www.erikclabaugh.com/wp-content/uploads/2014/08/181899847-Subculture.pdf

Huyssen, A. (1986). Toward The Postmodern. In *After The Great Divide: Modernism, Mass Culture, Postmodernism*. ხელმისაწვდომია: https://monoskop.org/images/d/df/Huyssen_Andreas_After_the_Great_Divide_Modernism_Mass_Culture%2C_Postmodernism_Theories_of_Representation_and_Difference.pdf

McRobbie, A. (1984). Dance and social fantasy. *Gender and Generation* eds A. McRobbie and M. Nava. Macmillan, London.

Muggleton, D. (2002). *Inside Subculture The Postmodern Meaning of Style*. ხელმისაწვდომია:https://is.muni.cz/el/1421/jaro2016/IM090/um/muggleton_Postmodern_meaning_of_style.pdf

Murdock, G., & MacCron, R. (1975). Consciousness Of Class And C Consciousness Of Generation. In A. Hall, S., & Jefferson, T. (Eds.), Resistance Through Rituals Youth subcultures in post-war Britain(pp.19209).ხელმისაწვდომია:http://sgpwe.izt.uam.mx/pages/egt/Cursos/SeminarioTNC/ResistanceThroughRituals.pdf

Ott, B. L., & Herman, B. D. (2003). Mixed Messages: Resistance and Reappropriation in Rave Culture. *Western Journal of Communication,* 249-270. Retrieved April 20, 2019. ხელმისაწვდომია:https://mountainscholar.org/bitstream/handle/10217/60073/Mixed_Messages_Ott_%20Herman.pdf?sequence=1&isAllowed=y

Putnam, R. D. (2000). Section Two Trends In Civic Engagement And Social Capital. In *Bowling Alone: The Collapse and Revival of American Community* (29-48). New York: Simon & Schuster.

Ravens, C. (2019, იანვარი 22). Bassiani: The Tbilisi techno mecca shaking off post-Soviet repression. *The Guardian*. ბოლო წვდომა 29.03. 2019: https://www.theguardian.com/music/2019/jan/22/bassiani-tbilisi-techno-nightclub-georgia

Raynolds, S. (2012). *Energy Flash: A Journey Through Rave Music and Dance Culture*. Soft Skull Press.

Rust, F., (1969). *Dance in Society: An analysis of the relationship between the social dance and society in England from the Middle Ages to the present day*. Routledge & Kegan Paul, London.

Shuker, R. (2005). *Popular Music: The Key Concepts*. Routledge, London.

Silk, M. S., & Stern J. p, (1981). *Nietzsche on tragedy*. Cambridge: Cambridge University Press. ხელმისაწვდომია:http://assets.cambridge.org/97811071/44767/frontmatter/9781107144767_frontmatter.pdf

Taylor, E. B. (1871). *Primitive Culture: Researches Into the Development of Mythology, Philosophy, Religion, Art, and Custom*. Oxford: J. Murray.

Thornton, S. (1995). *Club Cultures Music, Media and Subcultural Capital*. ხელმისაწვდომია:https://openeclass.panteion.gr/modules/document/file.php/TMH243/Sarah%20Thornton-Club%20Cultures%20_%20Music%2C%20Media%20and%20Subcultural%20Capital-Wiley%20%282013%29.pdf

Williams, R. (1961). The Analysis of Culture. In *The Long Revolution*(50-89). Broadview Pres.

Willis, P., (1978). *Profane Culture.* Routlage

თავი 5. დანართი

§5.1 თავფურცელი ინგლისურ ენაზე

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

Lana Davituliani

Tbilisi Club Culture and Young People's Subcultural Capital

Sociology of Culture and Media

The Thesis Is Prepared for the Partial Fulfillment of the Requirements for Master of Arts in Social and Cultural Studies

Thesis Supervisor: Dr. Lia Tsuladze

Associate Professor

Tbilisi, 2019

§5.2 სადისკუსიო გეგმა

1. **კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდის პროფილის შექმნა**

რესპონდენტის განათლება, ოჯახური მდგომარეობა, კლუბური კულტურის წევრობის ხანგრძლივობა.

2. **ახალგაზრდების კლუბურ კულტურაში სოციალიზაცია და მათი სოციალური კაპიტალის შესწავლა**

- პირველად როდის წახვედით კლუბში, რატომ გადაწყვიტეთ წასვლა?
- რა მოლოდინები გქონდათ კლუბთან დაკავშირებით? როგორ გამართლდა/ არ გამართლდა თქვენი მოლოდინები?
- რა მოგეწონათ ყველაზე მეტად კლუბში? რა არ მოგეწონათ ყველაზე მეტად?
- რამდენი ხნის შემდეგ წახვედით კლუბში მეორედ? რატომ გადაწყვიტეთ მეორედ წასვლა?
- კლუბში რეგულარულად დადიხართ?_ ხომ არ გქონიათ წყვეტა?
- [ვისაც წყვეტა ჰქონდა] რატომ შეწყვიტეთ კლუბში სიარული? რატომ დაიწყეთ კვლავ კლუბში სიარული?
- ყველაზე ხშირად რომელ კლუბში დადიხართ? რატომ?
- როგორ მოგწონთ კლუბის ლოკაცია და ინტერიერი?

- როგორ დაახასიათებდით თქვენს ურთიერთობას კლუბური კულტურის სხვა წევრებთან? გრძელდება თუ არა თქვენი ურთიერთობა კლუბის გარეთ?

- როგორ გაიცანით ერთმანეთი? როგორ დაუახლოვდით ერთმანეთს?

- კლუბში გაცნობილ ადამიანებთან ურთიერთობის შედეგად, შეიცვალა თუ არა თქვენი სოციალური ცხოვრება, როგორ შეიცვალა?

3. **კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების კულტურული კაპიტალის შესწავლა**

-ფლობდით თუ არა ინფორმაციას ელექტრონული საცეკვაო მუსიკის შესახებ კლუბში პირველ სტუმრობამდე?

-შეიცვალა თუ არა თქვენი მუსიკალური გემოვნება კლუბში სტუმრობის მერე? როგორ?

-რა ახალი ცოდნა/უნარები შეიძინეთ, რაც მხოლოდ კლუბში მოსიარულე ადამიანებისთვის არის დამახასიათებელი?

- კლუბის გარეთ იყენებთ თუ არა კლუბში მიღებულ ცოდნას და უნარ-ჩვევებს? და რაში გამოიხატება ეს გამოყენება?

4. **კლუბური კულტურის წევრი ახალგაზრდების სტილისა და სიმბოლური კაპიტალის შესწავლა**

- თქვენი აზრით, თანამედროვე კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელია თუ არა სტილი, რომელსაც მისი წევრები იზიარებენ? როგორ დაახასიათებთ ამ სტილს?
- რა სიმბოლური დატვირთვა აქვს კლუბური კულტურისათვის დამახასიათებელ სტილს? რას გამოხატავს თქვენთვის?
- შეიცვალა თუ არა თქვენი ჩაცმულობის სტილი კლუბში სიარულის შემდეგ? როგორ შეიცვალა?
- შეიცვალა თუ არა თქვენი ვიზუალი? (თმის ვარცხნილობა, სხვადასხვა აქსესუარი და ა.შ.) კლუბში სიარულის შემდეგ?
- [ვისთვისაც შეიცვალა] როგორ შეიცვლა თქვენი სტილი? რატომ შეიცვალა? რას გამოხატავს თქვენთვის ახალი სტილი?
- რატომ ამჯობინებთ კლუბს გართობის და სოციალიზაციის სხვა ადგილებს?

- რა ფუნქციას ატარებს თქვენთვის კლუბი?

- თქვენი აზრით, განსხვავდებიან თუ არა კლუბური კულტურის წევრი ადამიანები იმათგან, ვინც კლუბში არ დადის? რაში გამოიხატება ეს განსხვავება?
- კლუბური კულტურის წევრობის შედეგად, როგორ გგონიათ, შეიცვალა თუ არა თქვენი ცხოვრების სტილი? რა შეიცვალა კონკრეტულად?

- როგორ აფასებენ თქვენი ახლობლები (ოჯახის წევრები, სხვა მეგობრები) თქვენს კლუბში სიარულს? შეიცვალა თუ არა კლუბში სიარულის შემდეგ თქვენი დამოკიდებულება მათთან? მათი დამოკიდებულბა თქვენდამი? თუ კი, კონკრეტულად რაში გამოიხატება ეს ცვლილება?

- როგორ ფიქრობთ, პირველად სტუმრობის შემდეგ შეიცვალა თუ არა თქვენი სტატუსი კლუბური კულტურის სხვა წევრების თვალში? რაში გამოიხატება ეს ცვლილება?